საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 16 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 133 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 133

ღრმად დამწუხრებულნი: ნადია დიმიტრის ასული, ვარლამი და ანდრო დიმიტრის ძენი და მაკრინა ყარამანის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი სამი დაუვიწყარი დედის ხოლო უკანასკნელი სიდედრის

მატრონა მაქსიმეს ასული კილასონიას

დასაფლავება მოხდა 15 ივნისს, დღით სამშაბათს სოფელ ნოსირში.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარო და შვილი კიკა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ დაუვიწყარი

გერმანე ვლადიმერის ძე ტოტოჩავას (ლადოშვილის)

გარდაცვალებიდან ასმი თვის შესრულებას. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კახურის ეკლესიაში (გურიაში). (1910 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სოფიო შვილებით: ნიკოლოზ, ვანო და საშათი, რძლებით: სონა, ცაბუ და ნინათი, და შვილიშვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 17 ივნისს ქ. ქუთაისში მოხდება დაკრძალვა მათთვის ძვირფას

ნესტორ ფილიპეს ძე მიხაილოვის

(1920 2—1)

ანა მერაბის ასული; ივანე, ლიუბა, პავლე, დიმიტრი და ნიკოლოზ; ცაცა, ანა და შუშანა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებსა და მეგობრებს პირველი თავისი მარად დაუვიწყარი მეუღლის, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი მამის

ნიკოლოზ გესარიონის ძის უზნაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ქუთაისი, პუშკინის ქ., ყოფ. ვიტუშინსკის სახლი). დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 ივნისს საღამოს $5^1/_2$ საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. (1918 2—1)

## განცხადება

მიწათმოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება აცხადებს ყველა კერძო პირთა, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ ყოფილი განყოფილების აგენტი **ალექსანდრე ივანეს ძე კოზმავა** ამ თანამდებობაზე აღარ არის და განყოფილების მიერ მიცემული მოწმობა 1919 წლის 16 ენკენისთვის თარიღით № 409 გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. (ნ. 1—1)

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა

## ნ. ჟორდანიას ლითოგრაფიული სურათი

სუფთათ და ხელოვნურათ კარგ ქაღალდზე ზომით 16—13. ყველა მსურველთ, როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს სურათი შეუძლიათ შეიძინონ ხელმისაწდომ ფასებში თფილისის კომიტეტში, ერთობის ქ. № 4.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა მომარაგების სამინისტრო ერობათა, კოოპერატივთა და კერძო სავაჭროების საშუალებით შეუდგა ნედლი პარკის დაგროვება შესყიდვას შემდეგ პირობებში: ნედლი პარკის მოსავლის ჩაბარება გასყიდვის დროს მეაბრეშუმე იღებს ადგილობრივ ბაზრის ფასს და როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს მიეცემა კიდევ ზედმეტ ფასად 30 პროცენტი წმიდა მოგებისა, პარკის შესყიდვა-მიღება მოწყობილი იქნება ქ. თფილისში (საბრეშუმო სადგური), თელავში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ლანირო-ჭაგანში, ამაღლება-ვახში, საჯევახოში, ლანჩხუთში. ნატანებში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, აბაშაში, ახალსენაკში, ბანძაში, ხობში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, გალში, ოჩემჩირში, სოხუმში, ზესტაფონში, უწერაში, ცაგერში და სხვ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მთავარ რწმუნებული ი. ქუთათელაძისაგან ქ. თფილისის და ქუთაისის საბრეშუმო სადგურეში. (ნ. 15—2)

## ავლაბრის მუშათა კლუბი

ხუთშაბათს ივნისის 17 — ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა — ხუთშაბათს ივნისის 17

გამართავს გრანდიოზულ

## საღამოს

დამფუძნებელი კრების წევრი **ვიქტორ თევზაია** წაიკითხავს ლექციას: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“.

ცნობილი **პოეტები და მწერლები** წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს და სხვ. წაკითხულ იქნება სცენები, იუმორისტ. მოთხრობები და ლექსები, სატირა, შარჟები. **თარზე** დაუკრავს მ. დევაძე. გაიმართება აუკციონი, ანტრაქტებში დაუკრავს **მუსიკა**. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. (ნ. 3—2)

## კონკურსი

მილიციის უფროსის სამმართველოში არის ერთი თავისუფალი ადგილი **ქართულ მანქანაზე გადამწერისა.** ჯამაგირი თვეში 2866 მან. 76 კაპ. სავალდებულოა ქართული ენის კარგათ ცოდნა. ვისაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა თხოვნა შეიტანოს მილიციის საქმეთა მმართველთან, ველიამინოვის ქ. № 7, 18 ივანობასთვემდე. (1917 1—1)

## სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 17 ივნისს, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

სრულად!!! სრულად!!!

## სამოგზლო ლიტანიით

ქეთევანი—ნ. დავითაშვილი, სვიმონ ლიონიძე—ვ. გამყრელიძე, ლევან ხიმშიაშვილი—ალ. იმედაშვილი, შაჰი—ვალ. გუნია, ფაიხოში—ტასო აბაშიძე. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. (ნ. 2—1)

## სახალხო სიმღერა-გალობის სწავლა-ვარჯიშობა მიხეილ კავსაძისა

ოთხშაბ. და პარასკევს საღამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. (1914—3—1)

## ზავი ადერბეიჯანთან

ჩვენ ვიცით ომი, მაგრამ უფრო გვიყვარს ზავი. ჩვენ ვიცით მტრის დახვედრა ხიშტითა და ცეცხლით, მაგრამ უფრო მეტათ ვაფასებთ მოლაპარაკებას და მშვიდობიანობის ჩამოგდებას. ადერბეიჯანთან ზავიც ამიტომ ჩვენთვის დიდათ სასიამოვნოა. საქართველოს დემოკრატიაც ამ სიხარულს სავსებით გაიზიარებს.

როგორია ზავის პირობები?

ამ ჟამათ ჩვენს ხელთ არ არის მთელი ტექსტი ამ ხელშეკრულობისა, ვიცით მხოლოდ, რომ ზავის პირობებით უზრუნველყოფილია ჩვენი სტრატეგიული საზღვრები და ამ რიგათ გვაქვს ერთგვარი გარანტია მოულოდნელ თავდასხმისაგან.

ტერიტორიალურ შემატებას საქართველო სხვის ხარჯზე არასოდეს არ ცდილობდა. ამ ჟამათაც ჩვენს დელეგაციას სიხარბე არ გამოუჩენია. ზავის გულისთვის მას კიდევაც დაუთმია დროებით მაინც ისეთი ადგილები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მაგრამ, რომელთა საკითხი შეიძლება შემდეგში მშვიდობიანი გზით, უსისხლოთ მოგვარდეს. ასეთი საკითხია ზემო ყარაიაზის და ზაქათალის ოლქი. პირველი ამათგანი დღესაც ადერბეიჯანის ხელქვეით არის დარჩენილი. მეორე კი ნეიტრალურ ადგილათ გამოცხადებული, სანამ შერეული კომისია არბიტრთან ერთად გადასწყვეტდეს მის ბედს.

მართალია ზაქათალის მცხოვრებლებმა თვით მოითხოვეს ჩვენი ჯარის შეყვანა, და საქართველოსთან შემოერთება, მაგრამ ზავის გულისთვის, სისხლის ღვრის ასაცილებლათ, ჩვენმა დელეგაციამ შესვლას ამჯობინა საკომისიო საკითხის გადაცემა.

რომ ზავი არა, ეჭვი არაა ამ პატარა კუთხეს კვლავ შემოადგებოდა გამარჯვებული ჯარი კომუნისტების, რომელნიც წინადღით დამარცხებულნი გარბოდნენ აქედან და წვეთა და დაგვით მოივლიდნენ ამ პატარა კუთხეს, რომელიც უდაოთ საქართველოს ნაწილს შეადგენს. ზავმა იხსნა ეს კუთხე შემოსევისაგან და ამით უდიდესი მნიშვნელობა ქონდა მას. მოღერებული ხმალი შეჩერდა ზაქათალის საზღვარზე. და თუმცა ჩვენ სრული იმედი გვქონდა რომ ამ ხმალს მტერს თავზე გადავატეხდით, მაგრამ მაინც ზავი სჯობია, რადგან ომი გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ერთნაირათ იძლევა მსხვერპლებს და უმიზნოთ დაღვრილ სისხლს.

ამრიგათ ზავმა შეაჩერა აღმოსავლეთის ფრონტი და გამოარკვია ჩვენი საზღვრები ადერბეიჯანთან. საქართველო ჩამოყალიბდა ამ მხრივ.

ნუ დავივიწყებთ ის გარემოება, რომ ისტორიული საზღვრები, რომელიც უფრო გამოსადეგი იყო სტრატეგიულათ, არ იქნა აღდგენილი. ამ საზღვრებამდე მისვლა იქნებოდა მრავალი უცხო ელემენტის შემოყვანა ჩვენს სახელმწიფოში, რაც დიდ დადებით ღირსებათ ვერ ჩაითვლება ეროვნულ სახელმწიფოსთვის.

ჩვენთვის ყოველ საზღვარზე უმეტესი მნიშვნელობა აქვს მეზობელთან კეთილგანწყობილებას.

ადერბეიჯანის ხალხი, მასსა მუსულმანების არასოდეს არ ყოფილა ჩვენთან მტრულად განწყობილი. მხოლოდ გაბოროტებულმა ბოლშევიკურმა კომისრებმა შექმნეს აქ ფრონტი რუს წითელ არმიელების საშუალებით. და თუ დღეს ამ არმიელებმაც იგრძნეს, რომ საქართველო არ არის ადვილათ წასაჯაკნი და ფეხქვეშ არავის გაეთელვინება—ეს სრულიად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას შექმნის ჩვენს აღმოსავლეთის საზღვარზე. რუსეთთან ზავს მოყვა ადერბეიჯანთან მორიგება. ამ რიგათ მშვიდობიანობის რკალი თანდათან ფართოვდება ჩვენს გარშემო.

და ჩვენ სიამოვნებით ვამბობთ გაუმარჯოს ზავს.

გაუმარჯოს ერთა შორის მშვიდობიანობას.

## „ნორ-აშხატავორი“ და განაპირა ადგილები

ამ სომხის დაშნაკცაკანთა ორგანოს—ყოველთვის ჰქონდა დაგროვილი ბალღამი საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით გულს უსივებდა ქართველ-მენშევიკების ცქერა.

მართლაც, ხუმრობა ხომ არ არის. თფილისი; იმათი ბურჟუაზიული საბატონო, რომელიც უცხოეთში სომხეთის დედა-ქალაქათ ასაღებდენ, ისე გამოეცალათ ხელიდან, რომ უკან მიხედვაც არ მოუსწრიათ.

ხუმრობა ხომ არ არის, მთელი საქართველო, რომლის მამული და გაკოტრებული თავადობა საწველ ფურათ ჰყავდა მიჩნეული, დღეს დემოკრატიის ხელში გადავიდა და ბურჟუაზიულ ექსპლუატაციის მედგარი მახვილი ჩასცა.

ხუმრობა ხომ არ არის, ხალხთა ინტერესებისთვის საქართველოს მთავრობამ ქართული სასამართლო, სკოლა, წიგნი, წარწერები შემოიღო.

განა ეს მოსათმენია მისი ბურჟუაზიული კუჭისთვის! როგორ არ უნდა ამხედრდეს იგი საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ!

და იგიც ცდილობს, ტყავიდან ძვრება. ამის საბაბიც ეძლევა.

აჭარაში ყაჩაღური ნაწილები თავს ესხმიან ჩვენს ჯარს. აჭარლების დემოკრატია ჩვენს ჯართან იბრძვის, მაგრამ „ნორ-აშხატავორს“ რა ენაღვლება. მან იშოვნა საბაბი და გაიძახის,—აჭარაში ნაციონალური მოძრაობაა საქართველოს წინააღმდეგ და ქართველები იარაღით ებრძვიანო.

ბოლშევიკების უგნურებამ კვლავ ჯავის ხეობა აამხედრა, რომ ამით ადერბეიჯანის ფრონტისთვის დახმარება გაეწიათ. მოღალატობა ჩაადენინეს უგნურ ხალხს რესპუბლიკის წინაშე. „ნორ-აშხატავორი“, რომელსაც ღალატი ისე უყვარს, როგორც თავის თავი, სიხარულით ცას ეწევა. საქართველომ არ მისცა მათ კულტურული განვითარების პირობები და იმიტომ აჯანყდნენ ოსებიო, წათამამებულათ ასკვნის გაზეთი და შოვინისტობას გვიკიჟინებს.

მაგრამ განა შეიძლება ამის ,თქმა მას შემდეგ, რაც ჩვენმა დელეგაციამ თვით ადერბეიჯანთან ზავის დროს მოითხოვა სომხეთთანაც მშვიდობიანობის ჩამოგდება? განა შოვინიზმი წამოაყენებდა ასეთ საკითხს და ამით ზავის საქმეს გაირთულებდა?

„ნორ-აშხატავორი“ ამას არ დაგიდევს; რამდენიც უნდა ვეხმაროთ სომხის დემოკრატიას, დაშნაკელები მაინც არ მოიშლიან მორიელივით კბენას. მათ ბათუმის გარშემო კბილების კაწკაწი აქვთ ავარდნილი და მზათ არიან აჭარლები ცალკე ეროვნებათ მონათლონ, ხოლო ოსების რამდენიმე სოფლის აჯანყება, ოსეთის ნაციონალურ საქმეთ. „ნორ-აშხატავორმა“ იცის, რომ ბოლშევიზმია ამ დრამის რეჟისორი, ის ბოლშევიზმი, რომელიც ახლა სომხეთს ემუქრება, მაგრამ სხვის დანგრევის სურვილს დაშნაკცაკანები მზათ არიან თავიც გადააყოლონ.

ასეთ ხალხისაგან რას უნდა მოელოდეს ადამიანი, გარდა გესლიანი ხითხითისა და შემპარავი თავდასხმისა?

მაგრამ საქართველოს დემოკრატიამ ამ შემპარავთ დიდი ხანია აუღო ალღო, იცნობს მათ შავ გულს და თეთრ კბილებს.

თვით სომხის ხალხიც მალე მიხვდება მათ მუხანათურ მოქმედებას.

დაშნაკელებმა ამ მხრივ თვით „კომუნისტის“ უბადლო მოღვაწეობასაც გადააჭარბეს.

## თანამედროვე კითხვები

### XV.

### პარტიულ ყრილობაზე

ისტორიამ დააყენა ჩვენი პარტია ზღაპრულ გზაჯვარედინზე, მარჯვნივ წავა—ბურჟუაზიულ დემოკრატიაში გაერევა, მარცხნივ გასწევს, ბოლშევიკებში გაითქვიფება. ის არ წასულა, როგორც ვამჩნევთ ამ ყრილობაზე, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, მეტათ რთულ პირობებში შეუნახავს თავისი სახე, არ დაუკარგავს სისწორე.

მე დიდი მოუთმენლობით მოველოდი ამ ყრილობას. ვფიქრობდი, რომ აქ უსათოთ გამოიჩენდა თავს პრინციპიალური უთანხმოება, თუ ადგილი ქონდა და აქვს ჩვენში ამ უთანხმოებას. ეს ვერ დავინახე. შინაურ ოპოზიციას, მგონია, ჰყავს საკმაო ძალები, და ის მოახერხებდა თავისი აზრების დასაბუთებას. ალბათ საერთო ხაზი ყველას ერთი აქვს. პრინციპიალურათ განსხვავებული ხაზი გამოჩნდებოდა, როცა ყრილობამ მოისმინა ორი დიდი მოხსენება —ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის თავმჯდომარისა.

რეზოლიუციები ყრილობამ მიიღო ერთხმად. იშვიათი და, რა თქმა უნდა, სასიხარულო მოვლენაა. მაგრამ ეტყობა შიგა და შიგ მაინც დიდი ეჭვიანობაა. ბევრ ჩვენ ამხანაგებს საშინლათ აფიქრებს პარტიის დღევანდელი მდგომარეობა. შეურყეველი და ხალისიანი მუშაობისთვის არ კმარა გარეგნული დავალება, არ კმარა რეზოლიუცია. საჭიროა თითეული ჩვენთაგანი სულით და გულით გრძნობდეს, რომ ის აკეთებს ეჭვ მიუკარებელ საქმეს.

ამისთვის ჩვენ მუშაობა დაგვჭირდება ყრილობის შემდეგაც. პრესაში, სხვა გამომცემლობაშიაც შეძლება გვქნება შევეხოთ ხოლმე იმავე კითხვებს, უფრო ფართოთ და საფუძვლიანათ, ვიდრე ეს შესაძლოა რამდენიმე დღით თავმოყრილ ამხანაგებში. უნდა გავაძლიეროთ პარტიული მუშაობა. ეს ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროთ დაინახა დიდი ხანია. ამ მუშაობის შეკოჭლება ეტყობა ჩვენ ყრილობასაც...

სასწორი აქამდის გადახრილი იყო სახელმწიფოებრივი საქმეებისკენ. ვიბრძოდით არსებობისათვის, არ გვეცალა თეორეტიული კითხვებისთვის. ეს სწორეთ ერთ-ერთი გარემოებაა, რომელიც ეჭვს იწვევს ჩვენ წრეებში. ამხ. კლიმიაშვილმა გულწრფელათ გამოხატა ეს სულიერი ტანჯვა.—„უნდა გამოვტყდეთ, რომ ბოლო დროს გადავიქეცით რადიკალურ დემოკრატიულ პარტიათ, და კლასობრივი ნამდვილი სოციალური გზა კი დავივიწყეთო“,—ამბობდა ის მთავრობის მოხსენების შემდეგ. მე ყურს ვუგდებდი ამ ამხანაგს და ვფიქრობდი, რომ თითონ არ არის დარწმუნებული თავისი ეჭვების საფუძვლიანობაში.

დიდი შეცდომა იყო საზოგადოთ ის, რომ უკმაყოფილო ამხანაგებმა არც ცენტრალურ კომიტეტს, არც მთავრობას არ მიუთითეს ცოცხალ, ხელმოსაკიდებელ ფაქტებზე, არ გვიჩვენეს, რაში და როგორ გამოიხატა მთელი მათი საქმიანობის ნაკლულება. მასალა მაინც გვექნებოდა იმ დიდი კითხვის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ წინ გვიდგას, და რომელსაც შევეხებით, როცა პარტიის და სახელმწიფოს „შეთვისებაზე“ გვექნება მსჯელობა.

მე ჯერ არ ვიცი, რათ აწუხებსთ ამხანაგებს სასწორის სახელმწიფოსკენ გადახრა. ეწინააღმდეგებოდა თუ არა მუშათა კლასის ინტერესებს, ახვევინებდა თუ არა სოციალისტური გზიდან რადიკალურ - დემოკრატიული მუშაობა? არავის არ დაუნახვებია ყრილობაზე ეს წინააღმდეგობა.

ეთანხმებოდა თუ არა სწორეთ მუშათა კლასის და სოციალიზმის ინტერესებს ამნაირი მუშაობა? ამ კითხვაზე აძლევდენ დადებით პასუხს ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის წარმომადგენლები.

არ ეთანხმებოდა და ეწინააღმდეგებოდა კიდეცო,—იტყოდენ სხვა ამხანაგები, მაგრამ, როგორც ვთქვი, ალბათ ისინი არ ხედავდენ პრინციპიალურ შეუთანხმობას და წინააღმდეგობას. ეს გარემოება, ასე თუ ისე, სხვას ფენს ე. წ. „შეთავსების“ საკითხსაც. მე ვდგავარ აქ მხოლოდ მარტო თეორეტიულ სარჩულზე, ფაქტიური მასალა ადგილობრივი ხასიათის ჯერ ნაკლებათ მაქვს.

დარწმუნებული ვარ, რომ სასწორის სახელმწიფოსკენ გადახრა, საჭირო იყო მხოლოდ მშრომელი ხალხისთვის. ვერც ერთი არა-სოციალისტური პარტია ვერ გაუძლვებოდა თავდაცვის საქმეს, ჩვენი დამოუკიდებლობის გამტკიცებას ისე, როგორც გაუძლვა საქართველოს სოციალდემოკრატია. სახელმწიფო რომ დაცემულიყო, მუშათა კლასიც მოისპობოდა. რუსეთის მაგალითი ყველას თვალწინ გვიდგას. აქ ეჭვი არავის შეეპარება.

თუ რადიკალურ-დემოკრატიული მუშაობა ემსახურება სოციალიზმის ინტერესებს, ჩვენ ამისთანა მუშაობისგან ვერ გავაცალკევებთ პარტიულ საქმეს. თუ ის მიზნათ ისახავს ბურჟუაზიული წესწყობილების გამაგრებას, მაშინ უსათუოდ უნდა მოვახდინოთ გაცალკევება, მაშინ „შეთავსება“ აღარ შეიძლება.

ეჭვიან და უკმაყოფილო ამხანაგებს ასე არ გაუშიშვლებიათ საკითხი, არ შეხებიან მის ძარღვს. ამიტომ არ მიკვირს, რომ რეზოლიუციები ერთხმათ მიიღეს მაშინ, როდესაც შინაური ოპოზიცია საკმაო ძალებით არის ყრილობაზე წარმოდგენილი.

ვივლით ყრილობის შემდეგ იმავე გზით, როგორც გვივლია ყრილობამდის. ეს ის გზაა, რომელსაც ვადექით 30 წლის განმავლობაში, მხოლოდ უფრო გართულებული, უფრო კლდის და უფსკრულის პირებზე გასავლელი. არ ვარ ოპტიმისტი და არ ვფიქრობ, რომ კაპიტალიზმის დღე დათვლილია. ევროპაში მოსალოდნელია ისეთი რეაქცია, რომელიც უკან დაახევინებს, სხვათა შორის, საქართველოს დემოკრატიასაც. უფრო სამართლიანათ მიმაჩნია კაუცკის აზრი ერთ მის ბოლო დროინდელ წერილში გამოთქმული. ის სწერდა, რომ შეიძლება კაპიტალიზმი ხელახლა აყვავდეს ომის შემდეგ, ეს დამოკიდებული იქნება მისი დასრულების საერთაშორისო პირობებზეო.

აღმოსავლეთის უხვი ნიადაგი ჯერ კიდევ დიდი საზრდოა ევროპის კაპიტალიზმისთვის. გამოიყენებს თუ არა ის ამ საზრდოს, გადაელობება თუ არა წინ ბოლშევიზმი თავის „სოციალისტური“ დროშით, თუ ბოლშევიკური ქვეყანა თითონ შეერევა კაპიტალიზმის ფერხულში? —ეს რთული კითხვა თანამედროვე მომენტის არ გადაიჭრება ერთი და ორი უბრალო დებულებით.

შეიძლება ჩვენ ალაგას სხვა მმართველი ძალა გაჩნდეს აქაც, ამ პატარა ქვეყანაში. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩვენ შევინახავთ საჭირო ძლიერებას იმ გზით, რომლითაც ახლა მივდივართ. ჩვენ გვაქვს ის, რაც არ აქვს, მაგალითათ რუსეთის მუშათა კლასს. იქ რომ რეაქცია გამეფდეს, მშრომელ ხალხს დიდხანს არ ექნება ძალ-ღონე, თავისი ინტერესების დასაცველათ. ის მოშლილია და დარღვეული, რადგან იქ ერთი კლასის ინტერესებს მაღლა აყენებდენ მთელ სახელმწიფოსაზე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ცოცხალი საქმით დაგვანახვა ის, რაც აქამდის ქაღალდზე ეწერა. დავინახეთ, რომ მშრომელი ხალხის ინტერესი არ ეწინააღმდეგება ნამდვილ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რომ მუშათა პარტია ერის წარმომადგენელიც არის. ამაშია ჩვენი პარტიის ისტორიული სამსახური, და ისტორია არაფრათ ჩააგდებს მის ნაკლ-შეცდომებს, ყოველ ცოცხალ საქმეში აუცილებელს.

ს. დევდარიანი.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**დამოკიდებულება საქართველოსადმი.** ზავი საქართველოსთან ამ ჟამად ქალაქ კავკავში მთავარი თემაა ბოლშევიკურ პრესის და კავკავის პოლიტიკურ კრებებისა. პოლონეთთან ომმაც კი ვერ დაჩრდილა ეს თემა. არ გაანებეს რა თავი ბოროტ გამოლაშქრებას „ქართველ მენშევიკ - სოციალ-მოღალატეების“ წინააღმდეგ, კავკავის კომუნისტები ამას ზედ ურთავენ ქუჩურ გინებას. ლანძღვა-გინების ტონის მიმცემია ოფიციალური „კავროსტა“ ისევე როგორც ძობალისეების დროს იყო ყოველივეს ტონის მიმცემი „ოსვაგი“. უკანასკნელ დღეებში „კავროსტას“ ვიტრინებზე გამოაკრეს ქუჩური ხასიათის კარიკატურები ზედ წარწერით: „ზავი საქართველოსთან“. კარიკატურაზე დახატულია კავკასიის ქედი, საქართველოს ადგილას გაფენილია ხალი, რომელზედაც ზის აღმოსავლეთურ ტანისამოსში გამოწყობილი ქალი. ქედიდან გამოიყურება მოღიმარე სახე წითელი არმიელისა კასკით და ფარით, რომლის ბოლოზედაც გამოხატულია წითელი ვარსკვლავი. ტანი წითელ არმიელისა არ სჩანს. ერთი ხელით წითელ არმიელს მოხვეული აქვს აღმოსავლეთ კავკასიისათვის, იდაყვი დაყრდნობილი აქვს ბაქოზე, თითები სწვდება ბათუმს და უახლოვდება საქართველოს საზღვრებს. ამ კარიკატურით ცინიკურათ აშკარავდება საბჭოთა რუსეთის შეხედულება „დამოუკიდებელ“ ადერბეიჯანისადმი და ორაზროვანათ გამოუხატავია ის მნიშვნელობა, რომელსაც აძლევენ კავკავის კომუნისტები ზავს საქართველოსთან. ამგვარად ოფიციალური ენა საბჭოთა დიპლომატიის და ცენტრის შეხედულება ერთია, საქართველოს მეზობელ კომუნისტების კი —სულ სხვა არის. („სლოვო“ № 134).

**რამდენს ვმუშაობთ?** (დამაღონებელი ციფრები) ლაპარაკი გაძლიერებულ შრომის აუცილებლობაზედ, თქმულის გამეორებას ნიშნავს. ყველასათვის ცხადია, რომ სხვანაირათ დავიღუპებით. აქ მე მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომლებიც ნათლათ დაანახვებენ ყველას, თუ რა ცოტას ვმუშაობთ. მართალია, ებლაც სხვას მცირე მატება შრომისა, მაგრამ უმნიშვნელოა. საჭიროა შემდეგი ღონისძიებები, თუ გვსურს გამარჯვება. ციფრები, რომლებიც მე მომყავს, შეკრებილია ყველა რკინის გზების მთავარ სახელოსნოებში. ნომინალური რიცხვი სამუშაო საათების: 1914 წ.—284 დღე—10 საათ.—2,840 ს.; 1918 წ.—300 დღ.—8—2400 ს.; 1919 წ.—300 დღ.—8—2400 ს.

ნამდვილი რიცხვი სამუშაო საათებისა:—1914 წ.—2,369 ს. ანუ 83,5%, 1918 წ. 1750 ანუ 73%, 1919 წ. 1,370 ანუ 57% თუ ვიანგარიშებთ დღეში 8 ს. მაშინ სამუშაო დღის რიცხვი 1919 წ. უდრიდა 171 დღეს. ამას ველარაფერს დაუმატებთ, ჩვენ გადაგვარჩენს მხოლოდ შრომა, შრომა და შრომა... რ. ზ. ხაიკევიჩი („პრავდა“ № 92).

**წერილი რედაქციის მიმართ.** მთელი „სისუფთავის კვირის“ განმავლობაში აბანოებში მშვენიერი სისუფთავე იყო. მაგრამ ჩამორეკეს ზარი და შესწყვიტეს კიდეც. გათავდა კვირა ,და აბანოებში ვერ შეხვალთ. შეიხედეთ პრესნის აბანოებში: სავსეა ფურთხით, ყველგან პაპიროსის ნამწვავები და ფეხქვეშ ტალახიანი ფარდაგები. (პრავდა“ № 90).

ამაზე რუსები იტყვიან —„сказки про бѣлаго бычка.“

**შავს დაფაზე.** პირველ სახელმწიფო სტამბის (ყოფილ სიტინის) მუშებმა, სადაც მენშევიკებს მაგრათ აქვთ გამდგარი ფესვები, 26 აპრილის კრებაზე დაადგინეს არ იმუშაონ პირველ მაისს. ეს დაუჯერებელი ამბავი მოხდა მენშევიკების პროვოკაციული მუშაობის წყალობით. კრებაზე არ იყო მოსმენილი არც მოხსენება პირველ მაისის მუშაობის შესახებ და არც კამათი ყოფილა. კრება მოწვეული იყო მოულოდნელათ ზავკომის მიერ, იმ ზავკომიხ მიერ, სადაც მენ-

გაუტა-

# დღეს

მილლერი დამოუკიდებელ სოციალისტებს ვერ შეუთანხმდა. ამიტომ კაბინეტის შედგენა ებერტმა გეინცეს მიანდო.

გენერალური შტაბის ცნობა.

15 ივნისი.

ცხინვალის მიმართულებით 14 ივნისის განმავლობაში ჩვენი ჯარი მტერს სდევნიდა. ჩვენ გავსწმინდეთ ჯავის ხეობა და ჯარი როყის უღელტეხილისაკენ წინ მიიწევს.

დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

—

ჯავიდან სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს დეპეშით ატყობინებს გენ. კონიაშვილი: დღეს ჩვენ დავიკავეთ ხვცე ჩხივის ხაზი. ჩვენი წინსვლა იყო ნელი, რადგან ვესროდით თხემებს და სიმაღლეებს, რომლებიც ბანდას ეჭირა.

პოლკ. ინწკირველი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ივნისის 14 თარილით ატყობინებს: დღეს ჩასავალის სოფლის საზოგადოებიდან მივიღეთ ცნობები, რომ ოსებში პანიკაა. 12 ივნისს ჩვენთან შეტაკების დროს ოსები ძლიერ დაზარალდენ. მაყურებლნი გადმოგვცემენ, რომ ოსებს მიყავთ დაჭრილნი და დახოცილნი ცხენებით და ურმებით. წარსულ ღამით ოსებმა ტყვიისმფრქვეველებითა და თოფებით სროლა აგვიტეხეს, ისროდენ ყუმბარებს. სროლას ზარალი არ მოუყენებია, რადგან, როგორც სჩანს,—ოსები დიდათ მღელვარებდნენ.

---

შევიკები ბატონობენ. გადასაწყვეტი იყო საკითხი, გაეკრათ თუ არა კედლებზე პლაკატები „კომიაჩეიკების“ წინადადების თანახმად, რომ „პირველ მაისს გამოვალთ ყველანი სრულიად რუსეთის სუბბოტნიკის სამუშაოს შესასრულებლათო“. ზავკომის წარმომადგენელმა, მენშევიკ ვორონინმა საკითხი ასე დასვა: თუ მუშაობა პირველ მაისს სავალდებულოა, მაშინ ასეთ ლოზუნგს არ დავუჭერთ მხარს, თუ მუშაობა იქნება არა სავალდებულო, გამოვალთ ამ ლოზუნგითო. რაიონის „პარტკომის“ წარმომადგენელმა აუხსნა მუშებს, რომ პირველ მაისის სუბბოტნიკი ფორმალურათ არ არის სავალდებულო, მაგრამ ყველა მუშის ზნეობრივი ვალია იმუშაოს ამ დღეს, თუ არ უნდათ მუშათა კლასის მოღალატეობა. აღსანიშნავია, რომ მენშევიკები არ აძლევდენ საშუალებას მომხსენებელს სიტყვა დაესრულებინა—მენშევიკებმა გაილაშქრეს რა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ტალახში ამოსვარეს იგი და იძლეოდენ წინადადებას ისეთი ლოზუნგები მიეღოთ, რომლითაც გაკიცხული იქნებოდა საბჭოთა მთავრობის მოქმედება.

„პარტკომის“ წარმომადგენელს, რომელმაც საპასუხო სიტყვა აიღო, ორი წუთი მისცეს ლაპარაკისათვის და ამას კრების თავმჯდომარე-მენშევიკი შლეტსკი ასაბუთებდა რაღაც უცნობ „რეგლამენტით“. დასასრულ მენშევიკ მომხსენებელმა შეიტანა ასეთი წინადადება: ლოზუნგს ნუ გამოვიმუშავებთ, რადგანაც ამას საერთაშორისო ხასიათი არ აქვსო და არ ღირს მის დაწერაზე დროს დაკარგვაო. „უპარტიო“ მენშევიკმა სმირნოვმა, რომელიც ძლიერ ორატორობდა, განაცხადა, რომ ლოღიკა მოითხოვს, რომ თუ ლოზუნგს არ გამოვიტანთ, არც უნდა ვიმუშაოთო. მიუხედავათ პროტესტისა „რაიკომის“ წარმომადგენელის განმარტებისა, რომ მუშაობის საკითხი არ შეიძლება გადასწყდეს თუ არ იქნება მოსმენილი მოხსენება, თავმჯდომარემ მაინც უყარა ასეთ წინადადებას კენჭი და, რასაკვირველია, კრებამ გადასწყვიტა პირველ მაისს არ იმუშაონ და არც ლოზუნგი გამოიტანონ. კარგია ბატონო მენშევიკებო, რომ თქვენ გამოაშკარავეთ თქვენი დეზორგანიზაციული სახე იმ დროს, როდესაც მუშათა კლასს ასეთი მძიმე მუშაობა აწევს კისრად. ამით თქვენი სახელი თვით გააკარით შავს დაფაზე. თქვენ მიერ მოტყუებული მასსა შერცხვენილი მთელი მუშათა კლასის წინაშე, მალე მიგიხვდებათ და გაგიცნობთ თქვენ და ზურგსაც შეგაქცევთ. („იზვესტია“ № 91)

**ყუბანში** საბჭოთა მთავრობა ხშირათ სცვლის ამა თუ იმ პასუხისმგებელ ადმინისტრატორებს. ასე მაგალითად, ეკატერინოდარში სულ ცოტა ხნის განმავლობაში რევკომის ბრძანებით ოთხი კომენდანტი იყო გადაყენებული თანამდებობიდან. გადაყენებას ადმინისტრატორისას მოსდევს მომეტებულ შემთხვევაში მათი დატუსაღებაც.

ყუბანის გაზეთებში მოთავსებული იყო მასალები იმ შეთქმულობის შესახებ, რომელიც მზადდებოდა ეკატერინოდარში. შეთქმულთა ორგანიზაცია დროზე აღმოაჩინეს და 27 ინიციატორი დახვრიტეს. აჯანყებას ხელმძღვანელობდა ყაზახი აფიცერი გენ. შკუროს ასეულიდან. გამოირკვა, რომ შეთქმულებს დიდი იმედი ჰქონიათ ქალაქში დაბანაკებულ „ინტერნაციონალურ“ პოლკისა, სადაც აუარებელი სამხედრო ტყვეები ყოფილან, რომლებიც ნოვოროსიით უნდა გაეგზავნათ ავსტრიასა და გერმანიაში.

ეკატერინოდარში სურსათზე ისეთივე ფასებია, როგორც როსტოვში. პური იყიდება გირვანქა 60 და 70 მანეთად. („სლ.“)

**თეთრ-გვარდიელთა კოოპერატორები.** სამეურნეო ცხოვრების აწეწილმა მდგომარეობამ საბჭოთა რუსეთი აიძულა სამუშაობაზე მიეღო ძველი, გამოცდილი კოოპერატორები. ისინი ხშირად სარგებლობდენ ჩვენი ნდობით და გვარწმუნებდენ, რომ, მართალია, მათი პოლიტიკური რწმენა სულ სხვა არის, მაგრამ კოოპერატივებში მათ შეუძლიანთ სინდისიერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, რადგანაც კოოპერაცია აბსოლიუტურად ნეიტრალურიაო. ეს იყო მხოლოდ სიტყვები. ფაქტიურად კი „ნეიტრალიტეტი“ დაარღვიეს და კოოპერატივებში ჩუმი მუშაობა გააჩაღეს. „ჩერეზვიჩაიკის“ ხელში აუარებელი მასალებია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მოღალატურ მუშაობას ეწეოდენ ეს ძველი კოოპერატორები.

კოოპერატორები იღებდნენ საზღვარ გარეთის რუსთა კოოპერაციის კავშირიდან, რომელსაც სათავეში უდგია ბერკენგაიმი, ინსტრუქციებს, რომლის თანახმადაც მოქმედებენ. საზღვარ გარეთიდან მიღებულ დირექტივების თანახმად უნდა აღდგენილი ყოფილიყო თავისუფალი ვაჭრობა, ბანკების დენაციონალიზაცია, რაც ნიშნავს ეკონომიური გზით საბჭოთა მთავრობის დამხობას, თანახმად იმ მრავალ-დოკუმენტებისა, რომელიც მოწმობს კოოპერატორთა მტრულ გამწყობილებას საბჭოთა მთავრობისადმი.

ჩერეზვიჩაიკის დადგენილებით შეპყრობილ იქნენ ცენტრო-კავშირის გამგეობის წევრები დ. ს. კოროზოვი, ვ. ა. კუზნეცოვი და ნ. ლავრუხინი. („პრავდა“ № 90).

**„როგორ დააღწიოს თავი შიმშილს მშრომელმა ხალხმა“?** ამ სათაურით ჩვენ ხელში ჩაგვივარდა საბჭოთა რუსეთში „სახელმწიფო გამომცემლობის“ მიერ გამოცემული ბროშიურა ბ. ტვეროვისა. ავტორი აღნიშნავს სასოფლო მეურნეობის უნუგეშო მდგომარეობას, იმ შიმშილობას, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთში და გამოსასვლელ გზათ აქედან მიაჩნია სასოფლო კომუნა, სოციალისტური ორგანიზაცია. ეს მოწოდება კარგა ხანია ისმის კომუნისტებისაგან, აქ იმდენი საინტერესო არაფერია, საინტერესოა თვით ციფრები კომუნების და სასოფლო-სამეურნეო არტელების რაოდენობისა. 1918 წელში ყოფილა 700 კ.—ეხლა მომატებია 2000 კომ. და 2067 სასოფლო-სამეურ. არტელი. მაგრამ თითონ ავტორი აღნიშნავს ამ რიცხვის სრულ უმნიშვნელობას—30 მილიონ ერთ პიროვნულ, კერძო მეურნეობებთან. მაშ, კომუნა ვერ გაფართოებულა და ამის მთავარი მიზეზი ყოფილა ზოგიერთების მიერ კომუნის თავის კერძო ინტერესებისთვის გამოყენება. ავტორი ამბობს: „დე ნუ შეეშინდებათ ამხანაგებს, კომუნაში შემსვლელთ: საბჭოთა მთავრობა შეძლებს იმათ დაძალვას, ვინც განიზრახავს თავის პირად მიზნებისათვის დაარღვიოს კომუნის ინტერესებიო“. აქამდის, სჩანს, ეს ვერ დაუძლევიათ; კომუნა ამიტომ ვერც ხეირობს და, ალბათ, ამიტომვე კომუნაში შესულს უფლება აქვს იქიდან გამოვიდეს და ცალკე მეურნეობა აწარმოოს: „თუ კომუნის წევრი მაინცა და მაინც მოისურვებს კომუნიდან გამოსვლას და ცალკე ცხოვრებას, მაშინ კომუნის წესდების თანახმად, საერთო კრებას ეძლევა უფლება გამოუყოს წამსვლელებს ცოცხალი და უძრავი ინვენტარი, რათა კომუნარს შეეძლოს ცხოვრება და მეურნეობა მარტოდ, რაკი ის ამას მოისურვებს“ (გვ. 15). სჩანს, ცხოვრება, სინამდვილე იდეალებზედ უფრო ძლიერი აღმოჩნდა და კომუნისტები, ერთი ხელით სწერენ რა კომუნის წესდებებს, მეორე ხელით არღვევენ ამ წესდებას და ნიადაგს უმაგრებენ კერძო საკუთრებას, კერძო ინიციატივას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის არგუმენტაცია, რომელიც მოჰყავს ავტორს იმის დასამტკიცებლათ, რომ კომუნა ასწევს შრომის ნაყოფიერებას: იგი ადარებს კომუნას დანიის კოოპერატიულ მეურნეობას, სასოფლო მეურნეობას კაპიტალისტურ წესწყობილებისა. ყოველ შემთხვევაში ეს არ ლაპარაკობს „სოციალისტურ“ რუსეთის კომუნის სასარგებლოთ.

ინტერესს არ არის მოკლებული ციფრები, რომლებშიაც ავტორი გამოხატავს, ერთი კაცის მიერ მთელის წლის განმავლობაში (საშუალო ციფრი) შეჭმული პურის რაოდენობას: 1914 წელში ერთი კაცი სჭამდა რუსეთში 18 ფ. პურს, გერმანიაში—25 ფუთს, დანიაში—50 ფ., შეერთებულ შტატებში—55 ფუთს.

ავტორის გადმოცემით რუსეთს უკრაინასთან და ციმბირთან ერთად მოჰყავდა წლიურად 4 მილიარდ ნახევარი ფუთი პური. თითონ ხალხი სჭამდა 4 მილიარდ ფუთს, 500 მილიონი ფუთი კი საზღვარ გარეთ გაგვქონდაო და თან დასძენს: „პური გაგვქონდა საზღვარ გარეთ იმიტომ კი არა, რომ ის ბევრი მოგვეპოვებოდა, არამედ—ეს იყო სასარგებლო კაპიტალისტებისთვის, რუსეთის მუშებს კი სამაძღროთ არას დროს პური არ ჰქონია.

როგორც ხედავთ, ყველაფერი ამ წიგნაკში ლაპარაკობს იმის წინააღმდეგ, რასაც აკეთებენ საბჭოთა რუსეთის მესვეურები. ნამდვილათ კი, წიგნაკი დაწერილია მათი მოღვაწეობის მხოლოდ შესაქებლათ.

კაპიტალისტებს და მემამულეებს რუსეთიდან გაჰქონდათ საზღვარ გარეთ 500 მილიონი ფუთი პური, მაგრამ რუსი მუშა წელიწადში მაინც სჭამდა 18 ფუთ პურს.

ახლა კომუნისტებს საზღვარ გარეთ არაფერი გააქვთ და მიუხედავათ ამისა, რუსი მუშა შიმშილობს, შიმშილობს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთში დამყარდა „სოციალიზმი.“ ბალშევიკების გაზეთებიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბედნიერი დღეებია მაგ. მოსკოვში, როცა ორი დღის ულუფად 3/4 გირვანქა პურს არიგებენ სულზე—წლიურად ეს შეადგენს სულზე დაახლოვებით 3 ფუთ პურს.

კაპიტალიზმის დროს მუშა თავისუფლად სჭამდა წლიურად 18 ფუთ პურს. ბალშევიკების „სოციალიზმის“ დროს კი დიდი ვაივაგლახით სჭამს—3 ფუთამდე პურს.

და ამას უწოდებენ ბალშევიკები მუშათა და გლეხთა ბატონობას!

---

# საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

13 ივნისი.

**საღამოს სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.** ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას *) აკეთებს **ნ. რამიშვილი.** ის აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც მოუხდა საქართველოს სოც. დემოკრატიას მისთვის უჩვეულო როლის, სახელმწიფოს აშენების საქმის ხელში აღება. მომხსენებელი ჩამოთვლის ყველა იმ ზომებს, რომელსაც მიმართა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის სახით პოლიტიკურ, ეკონომიურ და პროფესიონალურ სფეროებში. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ცენტრალური კომიტეტი თავის მუშაობაში ეყრდნობოდა მთლიანად დემოკრატიას. —ყოველთვის, ყოველ გაჭირვების დროს დემოკრატიას მივმართავდითო, სთქვა მომხსენებელმა. ცენტრალური კომიტეტი თავის უმთავრეს ყურადღებას აპყრობდა ამიერ-კავკასიის ერთა მორიგებას, მათ შორის სოლიდარობის ჩამოგდებას, რასაც ხელს უშლიდა საერთაშორისო პროვოკაციის და ინტრიგის პარტია „დაშნაკციუტუნი“.

ეკონომიურ სფეროში, ამბობს ორატორი, ჩვენ ვხელმძღვანელობდით სოციალიზმის ძირითადი დებულებით,—საწარმოვო ძალთა განსაზოგადოებით და ჩვენი ცდა მიმართული იყო საზოგადოებრივი წარმოების გაფართოვებისაკენ.

პარტია სცდილობდა შეექმნა ისეთი პირობები, რომ პროფესიონალურ კავშირებთან, როგორც მუშათა მოძრაობის შტოსთან მჭიდრო კავშირი დაეჭირა და მათთან კონტაქტში ყოფილიყო. ეს ასეც იყო და პარტიას და პროფესიონალურ კავშირებს შორის შეტაკებას, უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს დამოკიდებულებას კოოპერატიულ მოძრაობასთან და ამბობს, რომ მწვავეთ სდგას კოოპერაციის და თვითმართველობათა ურთიერთობის საკითხიო.

მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ პარტიას, რამდენიმე არჩევნები ბრწყინვალედ ჩაუტარებია, დიდი ყურადღება მიუქცევია აგრეთვე სამაისო მანიფესტაციისათვის და სხვ. ცენტრალური კომიტეტის მეცადინეობით საქართველოს პარტია გამხდარა წევრათ საერთაშორისო სოციალისტური ოჯახის — ინტერნაციონალისა. პარტიაში მთლიანობა არ დარღვეულა, პირიქით, პარტიას შემოუერთებია „ალიონის“ ჯგუფი, პარტია ყოველთვის გამოდიოდა, როგორც ერთი კაცი. პარტიას უარუყვია ბლოკი, როგორც ბურჟუაზიულ პარტიებთან, ისე უტოპიურ სოციალისტურ პარტიებთან (ს. რევოლიუციონერებთან და ს. ფედერალისტებთან).

**ვ. წულაძემ** ყრილობას მოახსენა ცენტრალური კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიული გადასახადი ცეკაში არ შემოდიოდა რიგიანათ. ცენტრალური კომიტეტი ყველა თავის ოპერაციებს აწარმოებდა გაზეთების „ერთობას“ და „ბორბას“ სალაროდან. ცეკას შეუძენია საკუთარი სტამბა და შენობა, რომელშიაც მოთავსებულია „ერთობა“ და „ბორბის“ რედაქციები, ცენტრალური კომიტეტი, თფილისის კომიტეტი და სომხური სოც. დემ. სექცია და „ბანვორი ძაინის“ რედაქცია, თფილისის სამაზრო ს. დ. კომიტეტი და სტამბები.

**კ. ანდრონიკაშვილი.** საკანტროლო კომისიის სახელით იწონებს საერთოდ კომიტეტის მუშაობას, მხოლოდ მიუთითებს ზოგიერთ შეცდომებზე და ნაკლულევანებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონია, როგორც ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში, ისე პროვინციულ ორგანიზაციებში. მოხსენებას შემდეგ დავბეჭდავთ. ზოგიერთი შეკითხვა-განმარტების შემდეგ სხდომა იხურება.

14 ივნისი, დილის სხდომა.

გრძელდება კამათი ცენტრალურ კომიტეტისა და საკანტროლო კომისიის მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობას იღებენ შემდეგი ამხანაგები: მენაღარიშვილი, ტევზაძე, კალანდარიშვილი, წულაძე აფთ., სალაყაია, თევზაია, ხუროძე, ურატაძე, გრ. გიორგაძე და სხვ. თითქმის ყველა ორატორები ერთხმად აღიარებენ, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით იდგა თავის სიმაღლეზე; მან შესძლო აეღო სწორი პოლიტიკური გეზი მთავარ საკითხებში. კამათის საგანს უმთავრესათ წვრილმანი საკითხები შეადგენს, რის გაკეთებაც, ობიექტიური პირობების გამო, ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ შესძლო.

**ამხ. ი. სალაყაია** ეხება პარტიულ მუშაობას და ამბობს, რომ იგი არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. დასავლეთ ევროპაში პარტია ოპოზიციაში სდგას და უმთავრეს ნაწილად ბანდდება წვრილმან საკითხებში. ჩვენში, პირიქით, სოციალ-დემოკრატია მმართველი პარტიაა, რის გამო მას უხდება მთავარი ყურადღება მიაქციოს მთავარ სახელმწიფოებრივ საკითხებს და ივიწყებს პარტიულ მუშაობას. აქ იბადება საკითხი პარტიისა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულების შესახებ. ორატორი ეხება პარტიასა და სახელმწიფოს და ამბობს: სახელმწიფოს აქვს თავისი კონსტიტუცია—ურყევი და მუდმივი ნორმები, კანონები; პარტია კი ვერ გაიზიარებს ამას, იგი მიილტვის ერთ გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებისაკენ. პარტია ვერ გაიზიარებს ლოზუნგს: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“; იგი მარჯვნივ ვერას დროს ვერ წავა. ორატორი იმით ათავებს, რომ საჭიროა პარტიის კონტროლი არსებობდეს სახელმწიფოზე და პარტიის უმთავრესი ყურადღება პარტიულ მუშაობას მიექცეს.

**ამხ. ზ. თევზაია** აღნიშნავს, რომ ცენტრალურ კომიტეტმა სასიქადულოთ შეასრულა თავისი მოვალეობა. მთავარ საკითხებში მის მიერ აღებული ხაზი არის ერთად ერთი სწორი და მისაღები პარტიისათვის. ორატორი ეხება სხვა ორატორების სიტყვებს და ამბობს: აქ საყვედურობენ, რომ ცეკას მოხსენება მთავრობის მოხსენებას მოგაგონებთო. მაგრამ ამაში დასაძრახისი არაფერია. ჩვენ ხმა-მაღლა უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მთავრობა არის სოციალდემოკრატიული მთავრობა და ამიტომ მთავრობის და მის ორგანოების მოქმედებაში ჩვენ ვართ პასუხისმგებელი. ამხ. სალაყაია უპირდაპირებს ერთმანეთს სახელმწიფოსა და პარტიის ცნებებს. ეს ყოვლად მიუღებელია. ჩვენში პარტია და სახელმწიფო ერთი და იგივეა. ამათი სხვადასხვაობა ფიქციაა. არ არის მართალი, როდესაც ამხ. სალაყაია ამბობს, რომ სახელმწიფოს „უცვლელი, მუდმივი“ კანონები აქვსო: ეს სიტყვები სალვთო წერილებიდან არის ამოღებული! ჩვენ ვდგევართ სახელმწიფოს სათავეში და ვიმუშავებთ სწორეთ ასეთ კანონებს, არა მუდმივ კანონებს, რომლებიც სოციალიზმს გვაახლოვებს. დასასრულ ორატორი აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს მეცნიერულ ჟურნალისა და პოპულიარულ გაზეთის გამოცემას, რაც საჭიროა სოციალიზმის იდეების გასავრცელებლათ.

**ამხ. გრ. ურატაძე** ეხება ცენტრალურ კომიტეტის ორგანოებს „ერთობა“-„ბორბას“ და ამბობს, რომ ეს ორგანოები არ შეიძლება ოფიციოზი არ იყოს. ოპოზიციაში ჩადგომა დაუშვებელია: მთავრობა სწორედ იმ დადგენილებებს ატარებს ცხოვრებაში, რაც ჩვენი პარტიის პირველმა ყრილობამ გამოიტანა. ოპოზიციაში ეს ორგანოები მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩადგენ, როდესაც მთავრობა ასცდება ამ დადგენილებების ხაზს, ამ შემთხვევაში ორგანოები დარჩებიან პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ნიადაგზე.

**ამხ. გრ. გიორგაძე** არ იზიარებს ამხ. ურატაძის შეხედულებას და აღნიშნავს საჭიროებას, რათა პარტიული გაზეთები მიუთითებდენ მთავრობას მუშაობის ყოველგვარ ნაკლზე. ორატორი მოითხოვს გაძლიერებულ იქნეს პარტიული მუშაობა და აგიტაცია პროვინციაში.

გიორგაძის სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება. სიტყვა ეძლევა მომხსენებელს ამხ. **ნ. რამიშვილს.**

**ნ. რამიშვილი.** კამათმა გამოარკვია, რომ რამდენათაც საქმე ცენტრალურ კომიტეტის მუშაობას ეხება,—უკანასკნელი არ იწვევს არავითარ წინააღმდეგობას: ყველა იწონებს ამ მუშაობას, იზიარებს საკონტროლო კომისიის აზრს. ერთი უნდა ვთქვას—წამოიჭრა საკითხი სახელმწიფოსა და პარტიის შესახებ. აქ პრინციპიალურ განსხვავებაზე არ არის ლაპარაკი. ოპოზიცია არაა მართალი იმ შემთხვევაში, თუ კი პარტია აშენებს არა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ყოველ შემთხვევაში, ორატორის აზრით, ეს საკითხი ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის; ამიტომ არც არსებითი ლაპარაკი შეიძლება მის შესახებ. უპასუხებს რა ზოგიერთ ორატორებს, მომხსენებელი ამბობს, რომ ჩვენში დაწყებულია სოციალისტურ აღმშენებლობის პროცესი და მოჰყავს მაგალითები ამის საილიუსტრაციოთ. შემდეგ იგი ეხება ამხ. გიორგაძის აზრს პარტიულ ორგანოს შესახებ და ამბობს, რომ ორგანოს არ შეუძლია ოპოზიციაში ჩაუდგეს მთავრობას; მისი აზრით, გიორგაძე მაშინ იქნებოდა მართალი, რომ ორგანოს ხაზი ნაბრძანები იყოს მთავრობის მიერ. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში, მართალია, ზოგიერთი წვრილმანი მხარე არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მან გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც არსებულ ობიექტიურ პირობებში შესაძლებელია.

საკანტროლო კომისიის მომხსენებლის კ. ანდრონიკაშვილის საპასუხო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ნ. რამიშვილისა და შენიშვნები საკონტროლო კომისიისა ცენტრალურ კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ, პარტიული ყრილობა აღიარებს, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით იდგა თავის სიმაღლეზე და ღირსეულათ ხელმძღვანელობდა სოც.-დემ. პარტიას მეტათ მძიმე ხანაში. ყრილობა სავსებით იწონებს მის მოღვაწეობას და გადადის მორიგ საქმეებზე“.

რეზოლიუციას ხმა მისცა 112 კაცმა, წინააღმდეგ არც ერთმა, ოთხმა თავი შეიკავა.

შემდეგი განსახილველი საკითხია მოხსენება მთავრობისა.

მთავრობის სახელით მოხსენებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ჟორდანია,** რომელსაც ყრილობა დაუსრულებელის ტაშით ხვდება.

თავის ვრცელ მოხსენებაში ის შეეხო მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას და ნათელჰყო საერთო პოლიტიკური ხაზი მთავრობისა, რამაც იხსნა ყოველგვარ საფრთხისაგან ჩვენი დემოკრატია. მომხსენებელი ვრცლათ ეხება მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას და ამბობს, რომ ჩვენი მთავრობა დასავლეთ ევროპის ეკონომიურ განვითარებასთან შეთანხმებით შეუდგა სოციალურ აღმშენებლობით მუშაობას და ფაქტიურ მაგალითებით და მარქსიზმის გამოჩენილ თეორეტიკოსთა აზრებით ამტკიცებს თავის შეხედულებებს. (მოხსენების სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ).

მოხსენების შემდეგ შეაქვთ შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელი პასუხს აძლევს. შეკითხვების განხილვის შემდეგ დილის სხდომა დახურულათ ცხადდება. არსებითი კამათი შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

*) ყველა საყურადღებო მოხსენებები ახლო ხანში დაიბეჭდება სავსებით.

**რედ.**

---

# ოფიციალური ცნობა

**თფილისი,** ივნისის 15. საბჭოთა მთავრობასთან ზავის ჩამოგდების შემდეგ ადგილობრივ კომუნისტებს ნება მიეცათ გაზ. „კომუნისტი“-ს გამოცემისა. მოსალოდნელი იყო, რომ კომუნისტები შეუერთდებოდენ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას და ხელს შეუწყობდენ რუსის და ქართველ ხალხთა შორის კეთილ-მეზობლური განწყობილების განმტკიცებას. კომუნისტები წინააღმდეგ გზას დაადგენ. თავიანთ ორგანიზაციაში თავს უყრიდნენ უცხოელ მოქალაქეებს, აგრეთვე შეუდგნენ ჯარში მუშაობას და ცდილობდენ ჩვენი ფრონტის დასუსტებას ადერბეიჯანისა და აჭარელ მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომელთაც „სედაი-მილეთის“ ჯგუფი მეთაურობს და პანთურქისტებისაგან შესდგება. მთავრობამ ხელთ იგდო მეტათ საყურადღებო დოკუმენტი, რომლისგანაც აშკარაა, რომ ღალატი, რომელიც ჩაიდინა სათადარიგო ჯარისკაცთა ჯგუფმა, მიატოვა—რა ფრონტი, აჭარელ მეამბოხეთა წინააღმდეგ და მით საფრთხეში ჩააგდო ხულოში ჩვენი მომქმედი ჯარის ნაწილი, კომუნისტების ზედგავლენით მომხდარა. 5 ივნისს სადგურ ნატანებში დაპატიმრებულ იქნა თფილისიდან ბათომში მიმავალი სოფიო პრესმანი, რომელსაც თან აღმოაჩნდა ორი მოწოდება, ხელმოწერილი რუსეთის კომუნისტური პარტიის ბათომის კომიტეტის მიერ: ერთი მიმართულია საქართველოს მთავრობის და მეორე ინგლისელთა წინააღმდეგ. ამ მოწოდებაში ისინი ურჩევენ ქართველ მუშებსა და გლეხებს ხელი გაუწოდონ რუსეთის საბჭოთა მთავრობას საქართველოს მთავრობის დასამხობად. პრესმანმა განაცხადა, რომ ფურცლები მან მიიღო თფილისში გაზეთ „კომუნისტი“-ს სტამბაში, ხოლო ვისგან მიიღო, ან ვისთან მიჰქონდა, ამის გამჟღავნება არ მოისურვა, მაგრამ თანვე დასძინა, რომ ყველაფრის გაგება შეიძლება საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიო.

აშკარაა, ფურცლები მიჰქონდა ბათომში ადგილობრივ კომუნისტთა დავალებით. გაზეთი „კომუნისტი“ კიდევ უფრო შორს წავიდა. მან მოინდომა ოსეთში მოთარეშე ბრბოების გამოსვლა გამოეყენებია რესპუბლიკის დასამხობათ. მან მოითხოვა ოსეთის ბრბოების თვითგამორკვევა, ხოლო გავლენიანი კომუნისტები ამასვე ითხოვდენ აჭარისა და აფხაზეთისათვის. მათი გეგმის განხორციელება მოასწავებდა საქართველოსაგან განაპირა კუთხეების ჩამოშორებას, რაიცა რესპუბლიკისათვის საბედისწერო შეიქნებოდა. მთავრობამ დახურა გაზეთი „კომუნისტი“ და რესპუბლიკის აშკარა მოწინააღმდეგეთა ასალაგმავათ მიიღო შესაფერი ზომები. (სდს).

---

# ბათომი

8 ივნისს ბათომში მყოფ ინგლისის სარდლობამ მიიღო ბრძანება სტამბოლიდან ახლობელ აღმოსავლეთის მთავარ სარდლობისაგან, რომლითაც უკანასკნელი წინადადებას აძლევდა ბათომში მყოფ ინგლისის სარდლობას, რომ დაუყონებლივ შეუდგნენ ბათომის და მის ოლქის საევაკუაციოთ მზადებას. ევაკუაცია უნდა მოხდეს როგორც სამხედრო, აგრეთვე სამოქალაქო უწყებებისა. ევაკუაცია ეხება ინგლისელ მწარმოებლებსაც, რომელთაც წინადადება მიეცათ დაამზადონ თავიანთი საქონელი და დატვირთონ გემებზე. ასეთი ბრძანება, რომელიც ლონდონიდან გამომდინარეობს, სრულიად მოულოდნელი იყო ინგლისელებისათვის. ინგლისელებს ბათომის ოლქში 12 ათასამდე ჯარი ყავდათ და მუშაობას აქ იმ ტემპით აწარმოებდენ, რომ სრულიადაც არ მოელოდნენ ბათომის დაცლას. ინგლისურ წრეებში ამ ევაკუაციას ხსნიან იმით, რომ ოსმალეთში მღელვარეება და კიდეც იყო ცდა სტამბოლში აჯანყებისა, რაც თითქოს ჩაქრობილ იქნაო. („მ.“)

**ბათომის ევაკუაცია.**

თფილისის საინფორმაციო ბიურო შემდეგს გადმოგვცემს: „სარწმუნო წყაროებიდან შემდეგს იუწყებიან: ორშაბათს, 8 ივნისს, ინგლისის სარდლობამ ბათომში კონსტანტინეპოლიდან მახლობელ აღმოსავლეთში მყოფ ინგლისის მთავარსარდლობისაგან რადიო-დეპეშა მიიღო დაუყონებლივ შეუდგენ ბათომის ევაკუაციას. ბათომის სარდლობას წინადადება ეძლევა დაუყონებლივ დაიწყოს არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო პირთა ევაკუაცია. აგრეთვე ნათქვამია, რომ მოხდეს ბათომში მყოფ ინგლისურ სავაჭრო ფირმათა წასასვლელად მომზადება. ამის გამო ინგლისის სარდლობამ რუსეთის გემები აღრიცხა. ინგლისის ძალა ბათომში შემდეგში გამოიხატება: ფერადი ჯარი ერთ დივიზიამდე და 2000 ინგლისელი. ფერადი ჯარი ეწეოდა სადრენაჟო მუშაობას, რომელიც დაიწყეს ინგლისელებმა ბათომის მიდამოებში.

რადიოს მიღებისთანავე საჩქაროდ დაიწყეს სამხედრო ქონებისა და ინგლისის ზოგი ფირმის საქონლით გემების დატვირთვა. დატვირთვა ხდებოდა დღითა და ღამით. 11 ივნისს გამოირკვა, რომ ინგლისის პირველი გემები გავა კვირას, ნაშუადღევის 2 საათზე. იმავე დროს ინგლისის სარდლობამ განაცხადა, რომ ბათომის რეიდზე დარჩება 2 ინგლისური დრედნოუტი. ბათომის მომავალ მდგომარეობაზე ინგლისის სარდლობას არავითარი განცხადება არ გაუკეთებია.

საქართველოს საზღ[illegible] გზის დაცვა უმთავ[illegible] ხელშია.

---

# იტალიის მისიის ცნობები

**15 ივნისი.**

**ტოკიო.** 9 ივნისი. ნიკოლაევში სამხედრო ნაწილები მოვიდა იმ მცხოვრებლების დასახმარებლად, რომლებსაც ბალშევიკები ერთიანად სპობდენ.

**პარიზი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ზემო შლეზვიგში ფრანგებსა და გერმანელების შორის შეტაკება მოხდა. გამოძიება სწარმოებს.

**ვარშავა.** ოფიციალურ ცნობების მიხედვით ბრძოლა ბერეზინასთან სრული გამარჯვებით დასრულდა.

**ცვლილებანი იტალიის ამიერ-კავკასიის მისიაში.** ამ კვირაში თფილისს სტოვებს გენერალური შტაბის პოლ. მალკიადესი გაბბა, რომელიც აგერ ერთ წელზე მეტია, რაც კავკასიაში იმყოფება. იგი ითვლებოდა პირველად იტალიის სამხედრო მისიის თავმჯდომარეთ შემდეგ კი, იტალიის სახელმწიფოს პოლიტიკურ აგენტათ კავკასიის სამივე რესპუბლიკასთან. პოლკ. გაბბას შესცვლის დიდი ორდენის კავალერი ლიუდვიგ მერკატელლი, რომელიც ჩამოვა ბათომში 19 ივნისს იტალიის გემ „გრაც“-ზე.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 ივნისი.

**ფრანგული ცნობები.**

**კაბინეტის შედგენის საქმე გერმანიაში.**

რადგან მილლერი დამოუკიდებელ სოციალისტებს ვერ შეუთანხმდა, ამიტომ პრეზიდენტმა ებერტმა კაბინეტის შედგენა გეინცეს დაავალა.

**ეგვიპტეში.**

ქაიროში უშედეგოთ თავს დაესხნენ ეგვიპტის მინისტრა საბჭოს თავმჯდომარეს.

**საერთაშორისო სასამართლოს წესდება.**

პუანკარემ თავის თავზე მიიღო საფრანგეთის მსხვილ ასოციაციათა კავშირის თავმჯდომარეობა. 15 ივნისს შესდგება პირველი სხდომა იურისტთა საერთაშორისო კომისიისა, რომელიც შეადგინა ერთა ლიგამ საერთაშორისო სასამართლოს წესდების გამოსამუშავებლად.

**შრომის საერთაშორისო კონფერენცია.**

შრომის საერთაშორისო კონფერენცია შეიკრიბება გენუაში 15 ივნისის შემდეგ. იგი გამოიმუშავებს საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობის სტატუტს.

**რკინის გზათა რეორგანიზაცია.**

საფრანგეთში ნორმალურ ეკონომიური მოქმედების აღდგენა მჭიდროთ არის დაკავშირებული რკინის გზების რეორგანიზაციასთან, რომელიც ომის დროს ზედმეტი მუშაობისაგან დაზარალდა. გამოქვეყნდა რკინის გზისა და სახელმწიფოს შორის დადებულ ახალ კონვენციის პროექტი, რომელიც მთავრობამ პარლამენტში წარადგინა. მთავრობის პროექტში უკუგდებულია გამოსყიდვის აზრი. მთავრობა იკვლევს იმ ზარალს, რომელიც ომის დროს მოუვიდა რკინის გზას და აწესრიგებს მას. მომავალში რკინის გზების კომპანიები უარს აცხადებენ აანაზღაურონ რაიმე მოთხოვნილება ომის მიერ მიყენებულ ზარალის გამო. ახალი კონვენცია მიისწრაფის ექსპლოატაციის გაერთიანებისაკენ და ფინანსიური სწორწონაობის განმტკიცებისაკენ.

**ბალშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** 14 ივნისი. კიევიდან უკან დახევის ჟამს პოლონელებმა ააფეთქეს ელექტრონის სადგური, წყალსადენი, ვლადიმერის სობორო, სამგზავრო და საბარგო სადგურები.

**მობილიზაცია.**

**მოსკოვი.** 15 ივნისი. მოსკოვში გადასწყვიტეს პოლონეთის ფრონტზე გასაგზავნათ 6000 მუშის მობილიზაცია მოახდინონ. მოსკოვის დეპ. საბჭ. აღმას. კომიტეტი თავის მხრივ ფრონტზე აგზავნის 10 ამხანაგს. ახალხაზრდობის კავშირმა მოახდინა თავის წევრთა 90 პროც. მობილიზაცია. ისინი გუბ. საგანგებო კომისიის განკარგულებაში გაიგზავნენ.

**დონის ოლქში.**

დონის ოლქის საბჭოს წევრები წითელ არმიელთა სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში აცხადებენ: დონის ოლქის ყაზახები, გლეხები და მუშები მზათ არიან შეავსონ წითელ არმიელთა წყებანი და ხელი შეუწყონ პოლონეთთან მათ ბრძოლას.

**ნავთი.**

გროზნოდან ხარკოვში მიიტანეს 27 ცისტერნი ნავთი. გროზნო და პეტროვსკი კიდევ რამდენიმე ცისტერნს აგზავნის ნავთის მასალით.

**ალბანეთში.**

ალბანეთში აჯანყებულებმა შეუტიეს ქალ. ვალენს, მაგრამ ისინი იტალიის ჯარებმა უკუაგდეს.

**ლიონი.** ივნ. 15. პარიზში, სასტუმროდან გამოსვლის დროს ორი ნასროლი ტყვიით მოკლეს ალბანეთის წარმომადგენელი იაზიდ-ფაშა. მსროლელი დაიჭირეს. იგი ალბანელი აღმოჩნდა.

---

# საქართველო-ადერბეიჯანის საზავო მოლაპარაკება

თფილისის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელს შემდეგ დაახლოვებითი ცნობებს აუწყებენ საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის ხელშეკრულობის დადების შესახებ. წინასწარი შეთანხმების თანახმად ორივე დელეგაციის შეხვედრა უნდა მომხდარიყო აქსტაფაში 31 მაისს. 30 მაისს გავიდნენ თფილისიდან და

სალამოს 6 ს. იყვნენ ფოილოს ხიდთან საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე და დელეგაციის წევრები: დამფუძ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. გ. მდივანი და გენერალი ანდრონიკაშვილი. მდივნები—დ. მდივანი და შ. ვადაჭკორია.

რადგან ადერბეიჯანის დელეგაცია დანიშნულ დროზე ვერ მოვიდა აქსტაფაში, უთუოდ განჯის ამბების გამო, საქართველოს დელეგაციამ ადერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის სულთანოვისაგან ცნობა მიიღო, რომ აქსტაფაში მოსვლა მას შეუძლია მხოლოდ 3 ივნისს და ამიტომ ითხოვა დროებით ზავის გაგრძელება 5 დღით კიდევ, რაც უკვე მოხდა. 31 მაისს საქართველოს დელეგაცია თფილისში დაბრუნდა და 2 ივნისს ისევ უკან წავიდა. ფოილოს ხიდის მიახლოვებისას დელეგაცია გადავიდა მდ. მტკვარზე გაკეთებულ ბონდზე. მეორე მხარეზე დელეგაციას უცდიდა ადერბეიჯანის მატარებელი, რომლითაც დელეგაცია აქსტაფაში დილის 9 ს. მივიდა. აქ დელეგაციას შეხვდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები ადერბეიჯანში გ. ქ. ალშიბაია და ადერბეიჯანის საზავო დელეგაცია. დილის 11 საათზე გაიხსნა საზავო დელეგაციის პირველი სხდომა, მოხდა მანდატების გაცვლა-გამოცვლა და აღიარეს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სუვერენობა და დამოუკიდებლობა. შემდეგ მიიღეს შემდეგი წესრიგი: 1 პოლიტიკური საკითხები; 2) ტერიტორიალური; 3) სამხედრო და 4) ეკონომიური.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა გრ. ლორთქიფანიძე. დანარჩენებზე თავმჯდომარეობდენ რიგ-რიგობით. ზემოაღნიშნული საკითხები განიხილეს 3, 4 და 5 ივნისს. შემდეგ, უთანხმოების გამო, მოლაპარაკება დროებით შესწყდა. 6 ივნისს ადერბეიჯანის დელეგაციამ განაცხადა, რომ უნდა მოველაპარაკოთ ჩვენ მთავრობასო და მოითხოვა დროებით ზავის გაგრძელება კიდევ ერთი კვირით, მაგრამ საქართველოს დელეგაციის წინააღმდეგობის გამო მხოლოდ 4 დღით გაგრძელდა, ე. ი. 9 ივნისს საღამოს 5 საათამდე. 8 ივნისს დილის 11 საათზე საქართველოს დელეგაცია ისევ გაემგზავრა აქსტაფაში და 9 ივნისს დილის 8 ს. მას შეხვდა ადერბეიჯანის დელეგაცია, რომლის მეთაურად იყო უკვე მეორე თავმჯდომარე, ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუტ-ჰუსეინოვი. საზავო დელეგაციამ განაგრძო მატერიალურ და ეკონომიურ საკითხებზე თათბირი. დიდი კამათი გამოიწვია ტერიტორიალურ და საზღვრების საკითხებმა.

რადგან საზავო მოლაპარაკების დრო გადიდო 11 ივნისს, საღამოს 5 საათზე და მიზანს კი მიღწეული არ იყვნენ ტერიტორიულ და საზღვრის საკითხებში, დროებითი ზავის ვადა ადერბეიჯანის დელეგაციის თხოვნით გადადებულ იქნა კიდევ 12 ივნისს საღამოს 5 საათამდე. 11 ივნისს, 5 საათზე საქართველოს დელეგაციამ აქსტაფა დასტოვა, გადმოვიდა ფოილოს ხიდზე და ღამე გაათენა ვაგონებში საქართველოს ტერიტორიაზე. მუშაობა გადატანილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე—ფოილოს ხიდთან. 12 ივნისს დიდი ხნის კამათის შემდეგ ყველა საკითხებში შეთანხმებას მიაღწიეს. 12 ივნისს, საღამოს 10 საათზე დელეგაციები დაშორდნენ ერთმანეთს. ადერბეიჯანის დელეგაციასთან ერთად ბაქოში გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გ. ალშიბაია.

## ახალი ამბები

**მცხეთის სადგურის კომენდანტს** თფილისის გენ. გუბერნატორმა წინადადება მისცა რათა მან უნებართვოდ მცხეთიდან თფილისში არავინ გამოუშვას.

✦ **ოსების ბანდებს** ცხინვალის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა დაუყაჩაღებიათ 8 ივნისს საღამოთი და გაუძარცვავთ. ცხინვალის განთავისუფლების შემდეგ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსმა გამოარკვია, რომ ოსებს წაუღიათ ტელეგრაფის აპარატი, კანტორის სხვა ქონება და 29,000 მანეთი.

✦ **შეიარაღებულ დაცემისათვის.** სოხუმის ოლქში შეპყრობილნი ყაჩაღები: სოლომონ ალექსანდრია და ამბაკო კვარაცხელია მიცემულნი იქნენ სამხედრო საველე სასამართლოში, რომელმაც მიუსაჯა მათ სიკვდილით დასჯა. სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

✦ **მოსავლის მოლოდინი.** ქუთაისის გუბერნიაში გაზაფხულზე ნათესის მოსავალი საშუალოა. მოელიან, რომ ხილის მოსავალი კარგი იქნება. აგრეთვე ყურძნის კარგ მოსავალს ელიან. გუბერნია სეტყვისაგან არ დაზარალებულა. პატარა სეტყვამ გაიარა შორაპნის მაზრაში. მხოლოდ, სვირის ვენახებში მცირედი ჭია გაჩნდა.

✦ **ერობათა კავშირის ცნობით** ამ ჟამად საქართველოში 19 სამაზრო ერობა მოქმედებს. ამ მაზრებში ერობის მუშაობა უკვე წესიერად მიმდინარეობს. არ არის ერობა ახალქალაქის მაზრაში და გაგრის ოლქში. თითქმის ყველა ერობაში მოწყობილია თემები. თფილისის მაზრაში 7 თემია, სიღნაღის—26, თელავის—15, თიანეთის—5, დუშეთის—6, გორის—17, ქუთაისის—42, შორაპნის—27, რაჭის—19, ლეჩხუმის—24, ზუგდიდის—45, სენაკის—33, ოზურგეთის—33 და გუდაუთის—2.

✦ **პოლიტეხნიკურ სასწავლებელში** მოსწავლეთა საზაფხულო პრაქტიკაზე დაშვების შესახებ აღძრულ შუამდგომლობაზე სასწავლებელმა უკვე მიიღო დადებითი პასუხი გზათა დეპარტამენტიდან, არსენალიდან, ქალაქის ელექტრონის სადგურიდან, სახელოსნოებიდან, სენაკის და სხვა სამაზრო ერობებიდან, გორის და მისი მიდამოების აღმდგენელ მთავარ ინჟენერიდან და სხვ. მოწაფენი პრაქტიკაზე გაემგზავრებიან 18—25 ივნისს. მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება პრაქტიკის შესახებ შეიძლება სასწავლებლის დირექტორთან, დიდი მთავრის ქ., № 70.

✦ **ტყის მოწესრიგება.** მიწათ-მოქმედების სატყეო განყოფილება ენერგიულ ზომებს იღებს სამეურნეო გეგმის შესადგენად, რათა შემოღებულ იქნას მიზანშეწონილი მეურნეობა ტყის საქმის მოგვარებაში. სამინისტროს მიერ თფილისის, რაჭის და შორაპნის მაზრებში დაგზავნილია სპეციალური ტყის საქმის მომწესრიგებელთა კომისიები.

✦ **სახელმწიფო მამულებში.** სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი ლომოური, რომელიც გაგზავნილი იყო კახეთის სახელმწიფო მამულების დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად, თფილისში დაბრუნდა. ლომოურმა სასოფლო მეურნეობის მეორე ინსპექტორ ა. ეგოროვთან ერთად დაათვალიერა ნაფარეულის, კარდანახის, მუკუზანის, წინანდალის და მანავის მამულები. აღნიშნულია, რომ სეტყვისაგან დაზარალდა ნაფარეული. გაზაფხულზედ ნათესი ცოტათი დაზარალებულა; შემოდგომის ნათესზე ხელ-ახლა სიმინდს სთესენ. წინანდალში მამულის ქვედა ნაწილი დაზარალდა სეტყვისაგან. მუკუზანში და მანავში სრულიად არ ყოფილა სეტყვა.

✦ **საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტი.** ფინანსთა სამინისტროში საჩქაროდ მუშავდება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის პროექტი, 1920—1921 საბიუჯეტო წლისა, რომელიც დაიწყება 1 ივნისს და დასრულდება 31 მაისს. სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილი იქნება მთელი საბიუჯეტო წლის, ესე იგი 12 თვისა. ანგარიში ხარჯთ-აღრიცხვისა წლის ბოლოში დასრულდება.

✦ **სატარიფო პალატა.** საქართველოს პროფ. კავშირების სხდომაზე მოსმენილ იქნა სატარიფო პალატის თავმჯდომარის მოხსენება პალატის მოქმედების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ პალატის მოქმედება მეტად ნაყოფიერად სცნო. ამასთანავე შემდეგი ტეზისები იქნა შემუშავებული: სატარიფო პალატა შრომის ხელფასის ტარიფს აწესებს დაქირავებულ შრომის ყველა კატეგორიის პირებზე გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ადმინისტრატიული თანამდებობა უჭირავთ. დაწესებული ტარიფი სავალდებულოა, როგორც მუშებისათვის, ისე მეპატრონეთათვის. ყოველგვარი შეთანხმება, რომელიც გარეშე სატარიფო პალატისა მოხდება და მისი დასტური არ ექნება, არ არის ნამდვილი. იმ შემთხვევაში, თუ მეპატრონე არ დაემორჩილა გადაწყვეტილებას, სატარიფო პალატის გადაწყვეტილებანი იძულებითი გზით გატარდება ცხოვრებაში. პალატის ორგანიზაცია და მოქმედება ისაზღვრება წესდებით, რომელსაც შრომის სამინისტრო ამტკიცებს.

✦ **მოსკოვიდან თფილისში** დაბრუნდა საქართველოს ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი გ. ხუნდაძე და მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც თფილისში დარჩება და მონაწილეობას მიიღებს ქართული დრამის მომავალ სეზონში.

✦ **საქართველოს კონსტიტუციის პროექტი** დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ.

✦ **სოციალური დახმარება.** სოციალური დახმარების კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ითათბირა ავადმყოფ ინვალიდთა ექიმობის შესახებ. დადგენილია, ეთხოვოს სამხედრო სამინისტროს ინვალიდთა ლაზარეთებში მოთავსება. იმ შემთხვევაში, თუ უარი მიიღეს, დადგინეს ინვალიდები მოათავსონ—ქალაქის, ერობისა და კერძო სავათმყოფოებში კომიტეტის ხარჯზე.

✦ **მიხეილ კავსაძის სახალხო სიმღერა-გალობის სწავლა-ვარჯიშობა** იმართება კვირაში ორჯერ ოთხშაბათ-პარასკეობით საღ. 5 ნახ. 7 ნახ. საათ., რუსთველის პროს. № 17. (გოლოვინისა) პროფეს. კავშირების ბინაზედ, მე-5-თე სართული, სადაც ყველას შეუძლიან ისწავლოს და გაეცნოს მშობლიურ კილოებს. სიმღერები და საგალობლები ისწავლება ადვილად, სადათ და მარტივათ, ზეპირ გადმოცემით და ნოტებითაც. მოწაფეთა-მასწავლებელთათვის, მუშა და გვარდიელ-ჯარისკაცთათვის შეღავათიანის პირობებით.

✦ **უდიდესი ფასები ბინებზე.** მთავრობამ იუსტიციის მინისტრს წინადადება მისცა საჩქაროთ დამუშაოს კანონ-პროექტი ბინებზე უდიდესი ფასების დაწესების შესახებ.

✦ **შეშის დამზადება.** მიწათმოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს დიდძალი შეშა დაამზადოს. შეშის და შპალების დამზადება ყარაიაზის სახელმწიფო ტყეებში დავალებული აქვს გვარდიის მთავარ შტაბს, სახელმწიფო რკინის გზათა სამრეწველოს, ერობათა და ქალაქთა კავშირს და თფილისის ქალაქის თვითმართველობას.

✦ **ფრონტისთვის** რედაქციამ მიიღო ქუთაისის მე-4 უმაღლეს დაწყ. მასწავლებელ-მოწაფეებისაგან 978 მ.; ალბულაღის მასწავლებლის მიერ შეგროვილი 4800 მ.

**გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც დიდი ვალი შედგა, ამიტომ დღეს უკანასკნელათ იგზავნება გაზეთები სოხუმში და ჩოხატაურში. გაზეთები შეუწყდება სხვებსაც, თუ ვალი არ გამოგზავნეს. უკანასკნელათ ვსთხოვთ ყოფილ აგენტებს, რომლებზედაც გაზეთების ვალია, დარჩენილი ფული გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერი ზომები იქნება მიღებული. კანტორა „განათლება“.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

პარასკევს, 18 ივნისს, საღამოს 6 ს. შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა.

## უცხოეთი

**როგორ იუქმა მსოფლიო პროლეტარიატმა პირველი მაისი?** საზღვარგარეთის გაზეთების გადმოცემით, პირველ მაისის უქმე თითქმის ყველა ქვეყნებში დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა.

**გერმანია.** პირველი მაისის დღე, მ„ფორვერტსის“ გადმოცემით, გადაიქცა თელი მშრომელი ხალხის უქმეთ და სოციალისტურ იდეების გრანდიოზულ დემონსტრაციათ. თვით მიუნხენში, გერმანიის რეაქციონერთა ბუდეში, ყველა დაწესებულებანი, გარდა რკინის გზისა და ფოსტისა, გაფიცულნი იყვნენ.

**ავსტრია.** 1-ლ მაისს წარმოებანი და მთავრობის დაწესებულებანი მთელს ავსტრიაში დახურული იყო. დემონსტრაციების დროს ინცინდენტები არ მომხდარა.

**ინგლისი.** არ მუშაობდა ქარხნები და სახელოსნოები. მთავრობის დაწესებულებებში მუშაობა ნორმალურათ მიდიოდა. ლონდონში და დიდ პროვინციალურ ქალაქებში მოხდა მშვიდობიანი დემონსტრაციები. ლონდონში გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვენ სოციალურ რეფორმებს და რუსეთთან ზავის ჩამოგდებას.

**საფრანგეთი.** დღემ კარგათ ჩაიარა. პარიზში ყოველგვარი მოძრაობა შესწყდა. მოხდა შეტაკებები პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის, იყო მსხვერპლიც, დაიჭრა დეპუტატი სოციალისტი—ალ. ბლანკი და დაშავდა—ვაიან კუტიურიერი. ორივე სამართალშია მიცემული შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის. დაპერილია 103 კაცი. პროვინციაში მომხდარი უწესოების შესახებ ცნობები არ მოსულა.

**ჰოლანდია.** პირველ მაისის დღეს მოხდა მანიფესტაციები; ამსტერდამში მანიფესტანტები პლაკატებით მოუწოდებდნენ გაფიცვისაკენ.

**შვეიცარია.** მრავალრიცხოვანმა კრება და მანიფესტანტებმა უინცინდენტოთ ჩაიარა. ბევრ წარმოებაში მუშაობა არ ყოფილა.

**ს ო მ ხ ე თ ი.**

**ზანგიბაზარში სომხეთის სააგენტო იუწყება:** „პარასკევს შუადღისას ზანგიბაზარის რაიონის თათრებმა ყუმბარები დაუშინეს იმ ჩვენ ნაწილებს, რომელთაც ეპყრათ პოზიციები ჯაყარ ბადის მიმართულებით. აჯანყებულებმა ისეთი ცეცხლი გააჩინეს, როგორც ეს დიდი ბრძოლების დროს ხდება ხოლმე. უკანასკნელ ხანებში ზანგიბაზარის რაიონში დიდი მღელვარებაა“.

## წერილები ფრონტიდან

**კინემატოგრაფი ფრონტზე.**

ცუდი დარი იდგა. სალოლში რომ მივედით, წვიმამ კიდევ უფრო იმატა. აქედან უკვე იწყებოდა ჩვენი პოზიციები. რადგან მატარებელს კარგა ხანს მოუხდა გაჩერება, ჩვენ გადავედით სადგურში და ზოგიერთ ჯარისკაცებს გამოველაპარაკეთ.

შემდეგ მატარებელი ნელა გაემართა აფეთქებულ ხიდისაკენ. მივუახლოვდით ხიდს. ხიდის გაღმა იდგა მეორე მატარებელი, რომელიც უცდიდა ჩვენს საზავო დელეგაციას. სამხედრო მინისტრს ხიდებთან უცდიდენ ჩამწკრივებული ჯარისკაცები. მინისტრი მათ მიესალმა და შემდეგ უთხრა: აი, როდესაც მტერმა იგრძნო თქვენი ძალა, ის გვთხოვს ზავს, ჩვენ მივდივართ მოსალაპარაკებლათ. თუ შევკარით ზავი ხომ კარგი, თუ არა, მაშინ თქვენ რას იზამთ?—„თავს დავდებთ სამშობლოსათვისო“—მხიარული და ცოცხალი სახით უპასუხეს ერთხმად ჯარისკაცებმა.

მიუხედავათ იმისა, რომ ჯარისკაცებს პალატკები ნახევრად წყალში იყო ჩადგმული და მათ უხდებოდათ მუხლამდე წყალში ყოფნა, მაინც ისე მხიარული, ისე სიცოცხლით სავსენი იყვნენ, რომ გეგონებოდათ პოზიციაზე კი არა, სადმე მშვენიერ ალაგას საზეიმოთ არიან გამოსულიო.

ამის შემდეგ ჯარისკაცებმა თავი ერთ ადგილას მოიყარეს. მათ ესაუბრა პოლ. ართმელაძემ. განუმარტა, თუ რა განსხვავებაა თვითმპყრობელ მეფის დროის ჯარსა და ჩვენი რესპუბლიკის ჯარს შორის; რომ მაშინდელი ჯარი ემსახურებოდა მეფის მთავრობას და გაბატონებულ კლასის ინტერესებს. ჩვენი რესპუბლიკის ჯარი კი ემსახურება და იცავს მშრომელ ხალხს, დემოკრატიას. ამისთვის საჭიროა სამაგალითო წესრიგი გქონდეთ, სამხედრო ენით რომ ვსთქვათ, დისციპლინა, რომელსაც ყველა თქვენს ძალებს გააერთიანებს, შეაკავშირებს და ერთიანად აამოძრავებს. სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჯარის კაცებზე და მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

როცა შეღამდა, მოვაწყვეთ ეკრანი და დავიწყეთ სინემატოგრაფიული სურათების ჩვენება. პირველად ვაჩვენეთ დამფუძნებელი კრების გახსნის დღე. გამოჩნდა ჩვენი ერის ბელადი ნოე ჟორდანია, რომელიც სიტყვას ამბობს. „ნ. ჟორდანიას გაუმარჯოს, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას“,—ისმის ხმა ჯარის კაცების და ძლიერი ტაში არემარეს აყრუებს. შემდეგ იწყება. გვარდიის დღესასწაული. „გაუმარჯოს გვარდიას“,—ყვირიან ჯარის კაცები და მას მოყვება მქუხარე ტაში. ეკრანზე გამოჩნდება გვარდიის ბელადი ვალიკო. ტაში, გრგვინვა: გაუმარჯოს მთავრობის თავმჯდომარეს, გაუმარჯოს ვალიკო ჯუღელს,—გაისმის ერთ სულოვანებით ძახილი.

მეორე დღეს ჩვენ ფოილოს ფრონტიდან გავემართეთ სანდარას მიმართულებით.

სანამ მოვაწყობდით სურათების ჩვენებას, შეკრებილ ჯარის კაცებს და გვარდიელებს სიტყვებით მიმართეს ტ. ართმელაძემ და კ. ქლენტმა. შემდეგ დაიწყო სურათების ჩვენება. აქაც იგივე აღფრთოვანება, აქაც აღთქმა, ფიცი, რომ თავს დასდებენ სამშობლოს, დემოკრატიულ რესპუბლიკას და თავისუფლების დასაცავად.

სანდარიდან გავემართეთ ს-ში დ შემდეგ ყველგან, სადაც კი ჩვენი ჯარები იდგა. ზოგიერთ ალაგას გაიმართა ჯარის აღლუმი, რომელიც ეს გადაგვექონდა ლენტზე. ყველგან, ყველა ჯარის ნაწილებში ვხედავთ სამაგალითო სულიერ სიმაღლეს. სოფელ №-ში რამდენიმე ათასეულს ერთად შეგროვილს სიტყვას ეუბნებიან ტ. ართმელაძე და დამფუძნებელი კრების წევრი მურვანიძე, რომელნიც იწვევენ ჯარის კაცებში საერთო აღფრთოვანებას და ძლიერ ტაშს. უკანასკნელად გვიან, ღამე ჩვენ მივაღწიეთ წითელ ხიდთან, სადაც იდგა ჩვენი გვარდიის ბათალიონები. (აქ ჩვენ ღამე გვიან მოვედით და აღარ შეგვეძლო შევდგომოდით მუშაობას).

მეორე დღეს დილით მოვახდინეთ რამდენიმე სურათის გადაღება ლენტებზე, გადავიღეთ მეორე ახალ დაწყებული ხიდის კეთება, წყლის გადმოყვანა ახალ გაყვანილ კალაპოტში და სხ. ამის შემდეგ წავედით ნეიტრალურ ზონაში, სადაც სდგას ერთი ჩვენი საკონტროლო და ერთიც მტრის გუნდები.

მივედით თუ არა, მაშინვე მივაშურეთ შენობას, სადაც როგორც ჩვენი, ისე წითელ არმიელები არიან. და მართლაც, დავრწმუნდით, რომ არ ყოფილა სიმართლეს მოკლებული ის შეხედულება წითელ არმიელებზე, რომელიც გავრცელებულია ჩვენში. მართლაც ეტყობა ამ ხალხს დაღლილობა. მათი სახე გამოხატავს საშინელ გულგრილობას, თითქოს მათ აღარაფერი აინტერესებდეთ. საცოდავად არიან ჩაცმულნი. ზოგს ძველი დაფლეთილი საზამთრო ფიჯაკი პირდაპირ შიშველ ტანზე აქვს გადაცმული, ზოგი ფეხშიშველებია.

ჩვენ გამოვიყვანეთ ჩვენი გვარდიელები და გადავიღეთ სურათი ლენტზე, მივმართეთ ბალშევიკებს. თუ გსურთ თქვენც გადაგიღებთქვა. იმათ შეატყობინეს თუ არა ბათალიონის უფროსს. ბათალიონის უფროსი მოვიდა, გაგვეცნო და განაცხადა სურვილი გადაღებისა.

როცა ამ მუშაობას მოვრჩით, დაგვძლია ცნობისმოყვარეობამ და ზოგიერთ კითხვებზე ჩამოვუგდეთ ლაპარაკი ბალშევიკებს. და ჩვენ აშკარათ დავინახეთ რა დიდი განსხვავებაა მომზადება-განვითარების მხრივ ჩვენს ჯარსა და წითელ არმიელებს შორის. მაშინ, როდესაც ჩვენი გვარდიელები თავისუფლად ერკვევიან პოლიტიკურ საკითხებში, წითელ არმიელებს წარმოდგენაც არ აქვთ დემოკრატიზმზე, სოციალიზმზე.

საღამოს მოვაწყვეთ სურათების ჩვენება. გ. გოგიტიძე ჩვეულებრივ იძლეოდა ყველა სურათებზე განმარტებას.

მოვათავეთ რა ადერბეიჯანის ფრონტზე სურათების ჩვენება, დავბრუნდით თფილისში იმ ძლიერი შთაბეჭდილებით, რომ ერი, რომელმაც შექმნა ასეთი ჯარი, რომელმაც წამოაყენა ისეთი სამხედრო ძალა, როგორიც არის ჩვენი გვარდია, ასეთი ერი ყოველთვის გადალახავს მძიმე დაბრკოლებებს და ყოველთვის გამარჯვებული გამოვა.

**კ. ჟ—ტი.**

## პატარა შენიშვნა

ვისაც საშუალო სასწავლებელი დაუსრულებია, ყველამ იცის, რომ იმ მოსწავლეთა რიცხვიდან, რომელნიც ერთად შესულან პირველ კლასში, უკანასკნელ კლასამდის ძრიელ ცოტას მიუღწევია. ჩვენ ამის მიზეზის გამოკვლევას არ შეუდგებით, მხოლოდ გვსურს მივაქციოთ ყურადღება უფროსი კლასებიდან გამორიცხულთა ბედს. რიცხვი ამათი საგრძნობელი უნდა იყოს ჩვენი პატარა სახელმწიფოსთვის. სამწუხაროდ განათლების სამინისტროს არ აქვს ცნობები, რამდენ მოწაფეს ითხოვენ სასწავლებლებიდან ყოველ წლობით სხვადასხვა მიზეზებით. უმეტესი ნაწილი ამ გამორიცხული ყმაწვილთაგანი ქუჩაში რჩება უპატრონოთ და ამათგან ძალიან ცოტამ შეიძლება მომხერხოს სწორ გზაზე დადგომა. ეს არ უნდა ვიფიქროთ თუ ზოგიერთები საზოგადო განათლებისთვის სუსტნი არიან, ამათ არ ჰქონდეთ, რომელიმე განსაზღვრულ დარგის ცოდნის ნიჭი. ჩვენ ვფიქრობთ რომ ამ ყმაწვილებს უნდა მიექცეს ყურადღება და გამოვიყენოთ როგორც განვითარებულ მუშაკთა ძალა.

ჩვენის აზრით ამ გვარი ყმაწვილისათვის უნდა დაარსდეს, ჯერჯერობით ერთი, პროფესიონალური სასწავლებელი, სადაც სხვადასხვა დარგის სახელოსნოები იქნება მოწყობილი. ეს სასწავლებელი უნდა მოვათავსოთ ერთერთ დიდ მამულში, რადგანაც აუცილებლათ უნდა იქნეს ამ სასწავლებელში სამეურნეო ნაწილიც. ასეთი სასწავლებელი უსათუოთ უნდა დაარსდეს, რადგანაც ზნეობით ჩვენი მოვალეობა არის, ამ გამორიცხულ ბავშვებისათვის ვიზრუნოთ. ვინ არის დამნაშავე, ამ ყმაწვილების სასწავლებლიდან დათხოვნისა, ამის გამოძიებას თავი დავანებოთ, რადგანაც ეს რთული საკითხია, ყოველ შემთხვევაში, ეს ბავშები უფრო ნაკლებ დამნაშავენი არიან, ვიდრე ჩვენ, მათი მშობლები და აღმზრდელ-მასწავლებელნი. ამათ უნდა ვასწავლოთ ის ხელობა, რომლის მიმართ უფრო დიდი მიდრეკილება აქვთ. ამათგან ჩვენ შევქმნით მთელ ჯგუფებს საუკეთესო ხელოსნებისას და ამით დიდს სამსახურს გაუწევენ სამშობლოს.

სრული იმედი მაქვს ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევენ მცოდნე პირები და გამოსთქვამენ თავიანთ აზრს.

**ტ. კახიძე.**

## დავიწყებულნი

კუჭის მოთხოვნილებას ვერ გაექცევი. შეგიძლია ის აჭირო, მაგრამ არის საზღვარი. ეგრედ წოდებული საარსებო მინიმუმი ჩვენი ქვეყნის მუშების და ინტელიგენტური შრომის მოღვაწეებისა უკანასკნელ წერტილამდე დავიდა. ამ უბედურებას ებრძვის მთავრობა, ებრძვიან პროფესიონალური კავშირები და უმრავლესობა მწარე შიმშილისაგან ასე თუ ისე უზრუნველყოფილია. მაგრამ არიან მშრომელნი, რომელთაც არ აქვთ კავშირები, არ აქვთ, მაშასადამე, ძალა; დავიწყებულნი არიან ღვთისა და კაცისაგან, შიშველ-ტიტველნი დადიან და შიათ.

სხვას მათთვის არ სცალია, თვით თავისი უფლების დაცვა არ შეუძლიათ.

გადამეტებული არავის ეგონოს... შიათ.

არიან მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიები, რომელნიც ცოტას იღებენ, მაგრამ ხან შეღავათიან ფასში პურს იშოვნიან; ხან საცვალს; ერთს მუშათა მაგიდა შველის, მეორეს—ერობა.

ამათ კი არავინ.

მე ვამბობ სამომრიგებლო დაწესებულებათა მოხელეებზე. იქნებ სადმე ამ დარგის მუშაკებსაც შველის რაიმე დაწესებულება, მაგრამ უმრავლესობა აუტანელ მდგომარეობაშია. მე ვწერ პროვინციის ქალაქიდან. აქ არის ქალაქის თვითმართველობა, ერობა, პროფესიონალური კავშირები.

არსად არავინ ისე ცოტას არ იღებს, როგორც მოხელე-მწერალი სამომრიგებლო განყოფილებისა. რა შედარებაა... მისი თვიური ჯამაგირია 1736 მანეთი.

არავითარი დახმარება, არავითარი შეღავათი—არსაიდან. და მერე იცით—თვე არ გავა ისე, რომ მათ არ გაალებინონ ამა თუ იმ მიზნისათვის, ვინმეს დასახმარებლათ, რამოდენიმე ათი მანეთი. ამის დამწერს დღეს გაადებიეს, რომ სამომრიგებლო განყოფილების მოხელე, ს—ი, სოფელ-სოფელ დადის და მათხოვრობსო. მოსათმენელია ასეთ ადგილზე?

არა. შეიძლება მისი ადგილიდან დათხოვა ასეთი საქციელისთვის?

არა: ის იძულებულია...

ინტელიგენტი კაცი, გაოთრებული, 50 წლისა, რომელსაც 29 წელიწადი ერთ ადგილზე უმსახურია, რომელსაც თავისი საქმე ესმის, დადის და მათხოვრობს... ეს მოუთმენელია. დემოკრატიული რესპუბლიკის ფხიზელმა მთავრობამ უნდა იხსნას თავისი თანამშრომელი ასეთი სირცხვილისაგან, ასეთი უბედურებისაგან.

საზოგადოებამ იცის მოთხოვნა მოხელისაგან, მაგრამ მან არ იცის მოხელის მდგომარეობა, არაფერს აპატიებს მას.

ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მოხელეთა ინტერესების დამცველთა რიგში. მაგრამ მდგომარეობა გამოიცვალა. მოხელეზეც ისეა დაყრდნობილი ჩვენი რესპუბლიკის ბედი, როგორც ჯარისკაცზე, ლენერალზე, მასწავლებელზე, მუშაზე.

მოხელეს უნდა მიეცეს იმდენი, რომ მან მშრალი პურით მაინც გაიძლოს მუცელი და სიტიტვლე დაიფაროს. ამას ვერ იზამს ის 1736 მანეთით, როდესაც მას არავითარი შეღავათი არსაიდან არ აქვს, როდესაც ის საშინელ შავ, გამოუცხობელ გირვანქა პურში 20 მანეთს იხდის.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოუთმენელია მოხელე-მათხოვარი!..

**ალფა.**

## ნეკროლოგი.

**ამხ. ბარნაბ ლაბაძის ხსოვნას.**

სწორეთ 18 წლის იყო ბარნაბი როდესაც თავისუფალ ჯარისკაცათ ჩაეწერა და 15 აგვისტოს, 1915 წელს გაათავა სამხედრო სასწავლებელი. მეორე დღესვე გაგზავნილი გერმანიის ფრონტზე, აღარ დაბრუნებულა სამშობლოში, მხოლოდ როდესაც დაემხო თვითმპყრობელობის ტახტი, დაბრუნდა ის. ამ ორი წლის განმავლობაში კარგათ შეისწავლა სამხედრო საქმე. ის უკვე კარგი მომზადებული აფიცერი დაბრუნდა სამშობლოში. ჩამოსვლისთანავე მან დაიწყო მუშაობა ჩვენს ჯარში და ყველა ბრძოლებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. ბევრჯერ მიუციათ მისთვის რჩევა მშობლებს: კარგია შვილო, პატარა ხანს მაინც დაისვენეო, მაგრამ ის ეუბნებოდა: არა, წინეთ კიდევ შემეძლო დასვენება, მაგრამ რახან თავისუფალ საქართველოს მოვესწარი, დასვენება რას მიქვიანო, რათ მინდა თავი ცოცხალი, თუ სამშობლო განსაცდელში მეყოლოს და მართლაც არც ერთი ფრონტი არ ყოფილა, სადაც მას მონაწილეობა არ მიეღო. თავგანწირული იბრძოდა ბალშევიკური ბანდების წინააღმდეგ სამეგრელოში, სომხების წინააღმდეგ—შულავერში. შემდეგ ჩაეწერა სახალხო გვარდიის საველე ბათალიონში და ვხედავთ მას დენიკინის წინააღმდეგ გაგრის ფრონტზე. უკანასკნელად კი—„წითელ“ ადერბეიჯანის ფრონტზე, სადაც გმირულათ დაეცა ბრძოლის ველზე წითელ ხიდთან 12 მაისს.

მშვიდობით, საყვარელო ბარნაბ, შენ არარათ მიგაჩნდა სიცოცხლე, თუ სამშობლო განსაცდელში იქნებოდა, მაგრამ მალე შენს წმინდა საფლავთან გაიგონებ შენი ამხანაგების ხმას: „ჩვენ გავიმარჯვეთ, მოგილოცავთ შენც, გამარჯვებას“...

ვეცდებით ძვირათ დაუჯინოთ მტერს შენი სიკვდილი!

მშვიდობით, ჩემო მეგობარო!..

შენი **ფტუა.**

**იასონ სურგულაძე.**

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ რკინის გზის საავათმყოფოში გარდაიცვალა იასონ ივანეს ძე სურგულაძე, 1916 წელს იასონი ჩაეწერა მოხალისეთ ჯარში; შემდეგ ის გაგზავნილ იქნა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე.

ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ჭაბუკმა მტრებთან ბრძოლაში დიდი სიმამაცე გამოიჩინა, რისთვისაც მას მისცეს პრაპორშჩიკობა.

1917 წელს დაბრუნდა სამშობლოში და ჩაეწერა ქართ. მე-4 პოლკში და ბათუმის დაცემის დროს, თავგანწირვით იბრძოდა.

შემდეგ იასონმა [illegible] სამხედრო სამსახურს [illegible] [illegible]ლის რაიონის რკინის გზის მილიციაში. მსახურობდა 1 ნახ. წ. აქ ის გახდა ავათ და მოთავსებული იქნა თფილისის რკ. გზის საავათმყოფოში.

ის დიდათ იყო შეწუხებული, რომ მისი ამხანაგები მოღალატე ადერბეიჯანთან იბრძოდნენ და თვითონ კი ლოგინათ იყო ჩავარდნილი, რამაც უფრო დაარღვია მისი სულიერი სიმშვიდე და შეუმოკლა სიცოცხლის დღენი და 29 მაისს განუტევა სული. მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო. შენი ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი იქნება შენს ამხანაგებში.

**იაკინთე ცისკარიძე.**

## პურის საკითხი

(მუშათა მაგიდის საყურადღებოთ).

არ იქნა და არ გამოსწორდა მუშა-მოსამსახურეთათვის პურის მიწოდების საქმე. ხან ისეთ პურს აძლევენ მუშებს, რომ პირდაპირ შეუძლებელია მისი ჭამა, ხან კი კარგს.

ამ უკანასკნელ დროს რომ პურს აძლევენ მუშებს, იმისი ჭამა ყოვლად შეუძლებელია. შიგ ყველაფერს იპოვნით: ჩალებს და ბზეს რომ თავი დავანებოთ, სხვადასხვა მწერებიც შეგხვდებათ. ამიტომ ამ მოვლენას ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ ასეთი პურის მიცემას სჯობს არ მივაწოდოთ მუშებს არა თუ სულზედ გირვანქა, არამედ—არც ერთი მისხალიც. ამავე ფქვილს რომ ცოტა კარგი ღირსების ფქვილი აურიონ და სისუფთავით მოამზადონ, პური საუკეთესო გამოვა. და ასეც უნდა მოიქცეს მუშათა მაგიდა, თორემ სხვა გზა არ არის.

ახლა რომ პური რიგდება, იმის ჭამა შეუძლებელია!.

X.

## კავკასიის სამკურნალო საზოგადოების მოქმედება

თფილისში ძველებურად განაგრძობს თავის არსებობას ცნობილი „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება“. დასახელებულ საზოგადოებას არამც თუ შეუნახნია აქამდისინ, რაც ძალიან გააკვირვებს ბევრს, თავისი ძველი სახელი, არამედ—სულიც და სახეც ძველებური შეუნარჩუნებია. მოქმედებაც, რასაკვირველია, შესაფერისი დარჩენია ძველებური სულისკვეთებით გაჟღენთილ საზოგადოებას და აი, სწორედ იმ მოქმედებაზედ გვექნება აქ საუბარი. ძველად „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება“, როგორც აქ გაბატონებული ერის სხვა დაწესებულება, რუსი ექიმების ხელში იყო და იგინი იყვნენ ბატონ-პატრონნი, ავან-ჩავანნი საზოგადოების საქმიანობისა და მიმართულებისა. საზოგადოების საგანი, მართალია, სამკურნალო მეცნიერება იყო, მაგრამ დასახელებულ დარგში მისი მოქმედება რაღაც ვიწრო კაბინეტური, თეორიული იყო. საზოგადოებაში სამკურნალო მეცნიერების „ამერიკა“ არავის აღმოუჩენია.

ამავე დროს რასაკვირველია „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება, როგორც მთავრობის ნებადართული დაწესებულება მუდამ ოფიციალური სახის მატარებელი იყო და მის კედლებში სამკურნალო მეცნიერება ყოველთვის „ზომიერ გონიერების“ ჩარჩოებში იყო მოთავსებული. ამას თუ ზედ დაურთავთ საზოგადოების წევრთა უმეტესი ნაწილის ან მემარჯვენეობას, ან კადეტობას და ყველასი ერთად „ტუზემცებისადმი“ პოლიტიკანობას—ბატონური ზიზღით შეხამებულ ცქერას მაღლიდან დაბლა—შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ რა გვარ საზოგადოებასთან გვქონდა საქმე.

საზოგადოების წევრებად რასაკვირველია მომეტებული ნაწილი რუსები იყვნენ. ადგილობრივ მცხოვრებ ერების ექიმებიდან წევრებად შესვლა და იქ მოქმედება შეეძლოთ, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ იმ ბედნიერთ, ვინც ყოველ ეჭვს გარეშე იყვნენ პოლიტიკურად და სხ. მხრივ.

„კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას“, როგორც ესეთს ძველი მთავრობა მუდამ მწყალობელი ჰყავდა და მატერიალურად ყოველთვის დახმარებას აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ საზოგადოებამ საუკეთესო, მდიდარი, ბიბლიოთეკა-მუზეუმი და სხვა ქონება შეიძინა.

ასეთი იყო „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება“ წარსულში.

ვინ არიან დღეს წევრებად „კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა“? მცირედის გამონაკლისით ისევ ის ძველი რუსი ექიმები, დღეს დენიკინელებად ქცეულნი. ამათ გვერდში ამოსდგომიან და მათთან ერთად ჩვენთვის მაზარალებელ, ხელჩართულ საქმეს აწარმოებენ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის“ ექიმები, რომლებსაც რაღათაც არ მოსწონთ და ვერ შერიგებიან, რომ აქ, საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქში მათ „პოლიტიკანურ ბატონობას“ სამუდამოთ ფრთები დაემტვრათ.

აი ასეთი ხალხი შეგროვილა დღეს „კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში“, როგორც ზემოთა ვთქვი, მცირედის გამონაკლისით.

რას აკეთებს დღეს „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება“? მეცნიერებისათვის ძალიან ცოტას და ჩვენთვის საზარალო საქმეს კი ძალიან ბევრს. საზოგ. მდიდარი ბიბლიოთეკა დღეს ნახევრად განადგურებულია... საზოგადოების დადგენილებით და ნებართვით ბიბლიოთეკის დუბლიკატები და ზოგიერთი უნდა ვიგულისხმოთ საუკეთესო ტომები გადაგზავნილ იქნა არარატის რესპუბლიკის ქ. ერევნის უნივერსიტეტში. ამ ფაქტის შესახებ თამამად და საზიზღარის ცინიზმით საზოგადოების მდივანმა საზოგადო კრებაზედ განაცხადა. გარდა ამისა ბიბლიოთეკიდან საზოგადოების ბევრ წევრს აუარებელი წიგნი გაუტანია და დაუკარგნია.

აი დღევანდელი საქმიანობა „კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა“. ქართველი ექიმების პირდაპირი მოვალეობა იყო დასახელებული საზოგადოების საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობა მიგვეღო. ჩვენ ეს ვერ შევძელით. ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ უნარი, რომ მნიშვნელოვანი სიმდიდრე საზოგადოებისა არ გაენადგურებინათ და მომავალი თაობისათვის გადაგვეცა. მიზეზები ამისი ბევრი იყო. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს. ჩვენ ქართველ ექიმებში გვყავნან ისეთი ექიმები, რომლებსაც ჩვენდა სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ ზნეობრივი კავშირი „დენიკინელ“ და „დაშნაკელ“ ექიმებთან და ხანდისხან არჩევნების დროს მათი ხმებითაც კი სარგებლობენ, რომ ესა თუ ის საპასუხისმგებლო ადგილები მიიღონ... ამნაირი ტიპის ქართველი ექიმების წყალობით ჩვენ ქართველმა ექიმებმა პროფესიონალური კავშირის შექმნაც ვერ შევძელით და ასე დაქსაქსულად მტრის გასახარელად დავრჩით. ჩვენი ასეთი კოლექტიური საქმიანობისადმი უუნარობით ბევრი რამ პროფესიონალური გაგვიფუჭდა და დაგვეკარგა ისე, როგორც „კავკასიის სამკურნალო საზოგადოების“ ბიბლიოთეკა.

იქნებ ამ მწარე ფაქტებმა, თუ ცხოვრების სინამდვილიდან არა, გაზეთების ფურცლებიდან მაინც გვაიძულოს ჩვენ თფილისელი ქართველი ექიმები, გამოვიდეთ ასეთ მდგომარეობიდან, შევერთდეთ და შეერთებულის ძალით გავაკეთოთ ის დიდი რამ, რაც აქამდინაც უნდა გაკეთებულიყო.

ექიმი **ი. ლომაური.**

## სატარიფო პალატა

12 ივნისს გოლდმანის თავმჯდომარეობით შესდგა სატარიფო პალატის მორიგი სხდომა. პალატამ განიხილა პალატის მუშათა ფრაქციის მიერ აღძრული საკითხი მუშათა და მოსამსახურეთა ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ. ამ საკითხის შესახებ მუშათა ფრაქციის თავმჯდომარე აბდუშელი თავის მოხსენებაში იუწყება, რომ მრავალი კავშირიდან მოდის განცხადებები მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რაიმე საშუალებების გამონახვის შესახებ. თავის მხრით მუშათა ფრაქცია აუცილებლათ სთვლის გადაუდებელ ზომების მიღებას, რათა პროლეტარიატის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, რადგან მომარაგების ფონდი ვერ შესძლებს გაძლიერებას ახალ მოსავლამდე, ამიტომ მუშათა ფრაქცია წინადადებას იძლევა გამოიტანონ ერთდროული დახმარების დადგენილება, მაგრამ არა უმეტეს 3 ათასი მანეთის დახმარებისა.

სატარიფო პალატის თავმჯდომარემ ი. ი. გოლდმანმა განაცხადა, რომ მთავრობას ეს საკითხი გადაუდებლად მიაჩნია და იგი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს. ერთდროული დახმარების წინააღმდეგ არავინ წასულა და ფაბრიკა-მექარხნეების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პალატის მწარმოებელთა ფრაქციის ეს საკითხი ჯერ არ განუხილავს. საკითხის განხილვის შემდეგ ერთხმად მიიღეს დადგენილება დახმარების მიცემის აუცილებლობის შესახებ ისე, რომ ამ მიცემულ თანხიდან არავითარი გამოკლება არ იქნეს.

შედის წინადადება, რომ ახალ მიმატებამდე შეჩერებულ იქნეს ჯამაგირიდან ყოველგვარი გამოკლება. მწარმოებელთა ფრაქციის წარმომადგენლი ამ წინადადების წინააღმდეგია იმ მოსაზრებით, რომ ავანსის მიცემა ხდება ორივე მხარის თავისუფალი შეთანხმებით, ამიტომ სატარიფო პალატა აქ არ ერევა. ამიტომ პრეზიდიუმს დაევალა მუშათა ვალების რაოდენობის გამორკვევა. შემდეგ დაისვა მუშების ჯამაგირების საკითხი. საკითხის განხილვის დროს აღნიშნა, რომ დროებითი მუშები არ სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, რომლითაც სარგებლობენ მუდმივი მუშები. ისინი არ სარგებლობენ მაგ. მომარაგების ფონდიდან. გადაწყდა, რომ დროებითი მუშებს ჯამაგირი გაუდიდდეს შედარებით მუდმივებთან 35 პროც. დაბოლოს განხილულ იქნა კინო-თეატრების პიანისტებზე სატარიფო „სტავკის“ დაწესების საკითხი. პალატა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პიანისტებზე ქირის დაწესება, როგორც თავისუფალი პროფესიის პირებზე პალატის კომპეტენციაში არ შედის. (სდს).

## ნაძალადევი

ძველი რეჟიმისვე დროს თფილისის ერთერთ, ეკონომიურათ ღარიბ, მაგრამ სულიერათ ძლიერ და მასთან განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყოველთვის პირველ რიგში მდგომ ნაძალადევში ელენე სოლომონის ასულმა ბილანიშვილმა გახსნა გიმნაზიის მოსამზადებელი კლასები.

ძველი მთავრობის დამხობისთანავე მან თავისი დაუღალავი შრომით და ნაძალადევის მცხოვრებთა წარმომადგენლების დახმარებით გიმნაზიის მოსამზადებელი კლასების გაფართოებით საძირკველი ჩაუყარა პირველ მუშათა გიმნაზიას ნაძალადევში.

მუშების ეკონომიურათ დაცემამ და ამით გამოწვეულ მოსწავლეთა სწავლის ფულის უწესრიგოთ შეტანამ, უკეთ შეუტანლობამ, დასცა და მიწასთან გაასწორა მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა და მით გიმნაზიის არსებობის გაგრძელება კერძო დამაარსებლისათვის შეუძლებელი გახადა.

გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრემ ე. ს. ბილანიშვილის თაოსნობით უკვე გადასდგა შესაფერი ნაბიჯები განათლების სამინისტროსთან მოლაპარაკებით გიმნაზიის მთავრობისათვის გადაცემის შესახებ. ამ მიზნით მან (წრემ) მოიწვია 20 იანვარს მშობელთა საზოგადო კრება, სადაც ე. ს. ბილანიშვილმა მთელი თავისი ნაშრომ-ნაღვაწი, რაც დიდ საფასურს შეადგენს, უსასყიდლოდ უძღვნა ნაძალადევის საზოგადოებას და მით საზოგადო მოღვაწეობასთან ერთად დიდი საქველმოქმედო საქმეც გამოიჩინა.

ნაძალადევის დემოკრატიამ შეძლების დაგვარათ დააფასა ე. ს. ბილანიშვილის ნაშრომი და ნიშნათ მადლობის გამოცხადებისა, დაადგინა: 1) დარჩეს ე. ს. ბილანიშვილი საპატიო წევრათ გიმნაზიისა და დაეთმოს მასში მას შესაფერი ალაგი სანამ სურვილი ექნეს და 2) გიმნაზიას ეწოდოს „ელენე სოლომონის ასულ ბილანიშვილის სახელობის ნაძალადევის მშრომელთა გიმნაზია“.

მშობელთა წრეს, შესაფერი ოქმის გამოტანით, კრებამ დაავალა: დაუყონებლივ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ სასწავლებელი მთავრობამ აიღოს თავის გამგეობის ქვეშ და მით გადაარჩინოს მოსალოდნელ სიკვდილისაგან.

P. S. ვთხოვთ „ბორბას“ და „სახ. საქმის“ რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა საბჭოს კომიტეტის დავალებით მდივანი **გიორგი გვენცაძე.**

## ს. დ.-პარტიაში

**ბათომი.** 1 ივნისს, შესდგა ს.-დ. პარტიის ბათომის ორგანიზაციის კონფერენცია. გასული წლის შემოდგომიდან საალყო წესების გამოცხადების შემდეგ ჩვენს პარტიას, როგორც სხვებსაც, არალეგალურათ უხდება მუშაობა. ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება ფართო საზოგადო კრების მოწვევა. აუცილებელ შემთხვევებში ორგანიზაცია იძულებულია წარმომადგენლობითი სისტემას მიმართოს და საერთო კრებების მაგიერ ვიწრო კონფერენციით დაკმაყოფილდეს. ასევე მოხდა პირველ ივნისსაც. კონფერენცია შესდგებოდა ქალაქის ცენტრალური კომიტეტის, ყველა რაიონულ კოლექტივების წევრთაგან და ცეხების წარმომადგენლებისაგან (პარტიის 10 წევრზე ერთი წარმომადგენელი). სულ დაესწრო 83 კაცი გადამწყვეტი ხმის უფლებით და ახალგაზრდა მარქსისტთა ადგილობრივ ორგანიზაციის კომიტეტის მთელი შემადგენლობა სათათბირო ხმით. დაესწრო აგრეთვე თფილისიდან ამისთვის საგანგებოთ ჩამოსული ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ისიდორე რამიშვილი.

კონფერენციის საგანს შეადგენდა მომავალი პარტიული ყრილობის კითხვები. მაგრამ შექმნილი პირობების გამო ამათშიაც უმთავრესები იქნა ამორჩეული. კონფერენციაზე დაისვა შემდეგი კითხვები: 1) მიმდინარე მომენტი—მომხსენებელი ამხ. ის. რამიშვილი; 2) კონსტიტუციის პროექტი—მოხს. ამხ. გრ. აიოლლო; 3) ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა—მომხ. ის. რამიშვილი; 4) პროფესიონალური მოძრაობა—მომხ. გრ. აიოლლო; 5) პარტიული მუშაობა და გამომცემლობა—მომხ. ის. რამიშვილი; 6) ინტერნაციონალი—მომხ. აიოლლო; 7) მდგომარეობა ბათომის ოლქში—მომხ. კ. გოგოლაძე.

მუშაობის დაწყებამდე კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მუშათა მგოსანს ახლად გარდაცვალებულის ნოე ჩხიკვაძის ხსოვნას.

მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ის. რამიშვილმა.

რამდენიმე შეკითხვის შემდეგ მოხსენება მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუციით.

კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს მომხსენებელმა ამხ. აიოლლომ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ოთხს მომენტს: 1) სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობა; 2) ეროვნულ უმცირესობათა უფლებები; 3) საარჩევნო ოლქი და 4) დეპუტატთა რიცხვი.

კონფერენციამ გაიზიარა მომხსენებლის მიერ წამოყენებული დებულებები. კამათი გამოიწვია დეპუტატთა რიცხვის განსაზღვრამ. მიღებულ იქნა 100 დეპ. უზენაესი წარმომადგენლობის უფლებების მთავრობის თავმჯდ. გადაცემა ზოგიერთებს უფრო მიზანშეწონილათ მიაჩნდა, რადგან ის უფრო გაცნობილი იქნება საქმეებთან. მაგრამ კონფერენციამ აუცილებელ საჭიროთ დაინახა ამ ფუნქციების პარლამენტის თავმჯდომარისათვის გადაცემა. სხვა დებულებებს მომხსენებლისას კამათი არ გამოუწვევია.

ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ის. რამიშვილმა,

მცირე კამათის და რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენცია გადადის პროფესიონალურ მოძრაობის საკითხზე.

პროფესიონალურ მოძრაობის საკითხში კონფერენციამ უმთავრესი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლექტიურ ხელშეკრულებას და დაადგინა, რომ ის ვრცელდებოდეს ყველაზე და ყველგან, სადაც კი საქმე გვექნება დაქირავებულ შრომასთან, მიუხედავათ იმისა, იქნება ეს სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულება.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია პარტიული მუშაობის საკითხის გარჩევამ.

ინტერნაციონალზე მოხსენება გააკეთა გ. აიოლლომ. უკანასკნელი საკითხის—მდგომარეობა ბათუმის ოლქში—გარჩევა სიგვიანის გამო შემდეგისთვის გადიდო.

კონფერენციაზე მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუციები:

1) მოისმინა რა მოხსენება ამხ. ისიდორე რამიშვილისა თანამედროვე მომენტზე, კონფერენცია კმაყოფილებას გამოსთქვამს საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის გამო და იმედოვნებს, რომ დღეიდან ყოველივე გაუგებრობას საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო მოეღება და დამყარდება მათ შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ადერბეიჯანის მუხანათურ თავდასხმით აღშფოთებული აღნიშნავს რა, რომ საქართველოს დემოკრატიას არავის მიმართ არასოდეს ქონია აგრესიული მიზნები და დღესაც მზათ არის ზავით შეეკრას ყველას, ვინც გულწრფელათ მოისურვებს მასთან კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარებას,—კონფერენცია იწონებს მთავრობის ყველა ნაბიჯს, ადერბეიჯანთან კონფლიქტის გამო გადადგმულს, და აცხადებს, რომ ის კვლავინდებურად მხარში ამოუდგება მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობისა და რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა-განმტკიცების საქმეში.

2. საქართველოს დემოკრატიას დღეს უხდება სახელმწიფოს შენება, რომლის მაგალითი ისტორიამ არ იცის. მისი კონსტიტუცია უნდა იყოს უაღრესად დემოკრატიული და სრული. კონფერენცია სავსებით უარყოფს პრეზიდენტის საჭიროებას და ადგენს, რომ ზოგი მისი ფუნქციები გადაეცეს პარლამენტის თავმჯდომარეს. ეროვნულ უმცირესობათ მიეცეს ფართო უფლებები კულტურული განვითარებისათვის. დეპუტატთა რიცხვი განისაზღვრებოდეს ასით და მთელი სახელმწიფოსთვის დაწესდეს ერთი საარჩევნო ოლქი.

3. დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება ერთის მხრით კაპიტალიზმის საფუძვლების ძირიანად შერყევით და მეორეს მხრით ეკონომიურის არევ-დარევით. ჩვენმა სახელმწიფომ უნდა აწარმოვოს ისეთი ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკა, რომელიც, აღორძინებს რა მხარეს ეკონომიურათ, დაგვიახლოვებს სოციალიზმს, სადაც შესაძლებელი იქნება და ეს არ გამოიწვევს წარმოების დაცემას, გატარებულ უნდა იქნას ნაციონალიზაცია. ამასთან ერთად კერძო ინიციატივასაც უნდა მიეცეს სათანადო სარბიელი.

4. პროფესიონალურ მოძრაობის შესაფერ დონეზე დასაყენებლათ კონფერენციას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია კოლექტიური ხელშეკრულების ყველა დარგის, როგორც კერძო, აგრეთვე სახელმწიფოს დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებზე გავრცელება, რადგან ყველგან დაქირავებულ შრომასთან გვაქვს საქმე.

5. დაწინაურებულ ქვეყნების სოციალისტურ პარტიების ცხოვრებაში ადგილი აქვს ისეთს გარემოებას, როცა მთავრობისა თუ სხვა სახელმწიფოებრივ ორგანოების ხელმძღვანელნი არიან ერთსა და იმავე დროს პარტიულ ორგანოების ხელმძღვანელნიც. კონფერენციას ასეთი მოვლენა პრინციპიალურათ დასაშვებათ მიაჩნია. მაგრამ გამოსთქვამს სურვილს, სადაც კი შესაძლებელი იქნება აუცილებლათ მოხდეს თანამდებობათა გამიჯვნა.

კონფერენცია აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს აგრეთვე პარტიული მეცნიერული პერიოდული ჟურნალის გამოცემას.

6. საერთაშორისო ომმა მეორე ინტერნაციონალი დაშალა და მას ჩამოაშორა საგრძნობი ძალა მებრძოლი პროლეტარიატისა. მეორე მხრით მესამე ინტერნაციონალი თავისი შეუსაბამო ლოზუნგების გამო ვერ ჩაითვლება მსოფლიო პროლეტარიატის გამაერთიანებლათ. კონფერენციას აუცილებლათ მიაჩნია რა ძლიერი მუშათა ინტერნაციონალის არსებობა ადგენს: ჩვენი პარტია ღებულობს მხურვალე მონაწილეობას ჟენევაში 31 ივლისისთვის მოწვეულ ინტერნაციონალურ კონგრესის მუშაობაში და მხარს დაუჭერს ისეთი ინტერნაციონალის შექმნას, რომელიც წმინდა კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე დგომით შესძლებს მთელი ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანებას. —**ნი.**

## მუშათა შორის

**ოფიციანტების კავშირის ცხოვრებიდან.**

ოფიციანტების კავშირი დაარსდა 1916 წლის ნოემბერში. ძველი რეჟიმის სუსხი არ აძლევდა ამ კავშირს გასაქანს და პირველ ოთხ თვეს კავშირის მხოლოდ სახელი-ღა იყო. იფეთქა რევოლიუციამ და კავშირმა მძლავრათ გაშალა ფრთები, ერთ მოწინავე და მძლავრ კავშირათ ითვლებოდა, რევოლიუციის პირველ ხანებში, წევრთა რიცხვი ავიდა 3,600-მდე.

დღეს კავშირი სულს ღაფავს. უმუშავრები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მომუშავენი, რესტორანების 11 საათზე დაკეტვამ მთლად მიწასთან გაასწორა ეს კავშირი. მრავალი რესტორანები და კლუბები დაიკეტა და ისედაც საგრძნობ უმუშევართა რიცხვს ემატება ყოველდღე ახალი უმუშევრები.

თფილისში არსებობს ათამდე მოზრდილი რესტორან-საყავეები, რომელიც ამოფარებული არიან რა საქველმოქმედო საზოგადოებებს, გვერდს უვლიან 1918 წ. იანვრის დეკრეტს და არ ღებულობენ კავშირის წევრებს. ასეთებია დაშნაკელების „უნიონი“, „ლბერტე“ სომხის საქვ. საზ., „დარბაზი“ და „26 მაისი“. ამ დაწესებულებებს რომ არ დაერღვიათ ზემოხსენებული დეკრეტი, კავშირში უმუშავართა რიცხვი მცირე იქნებოდა. კავშირის გამგეობამ უკვე აღძრა ზოგიერთ მათგანის წინააღმდეგ საქმე როგორც კანონის დამრღვევნი. თუ მთავრობა სცემს რომელიმე კანონს, მას ცხოვრებაში გატარება უნდა. ჩვენ სრული იმედით შევყურებთ მომავალ სასამართლოს და მის კანონიერ განჩინებას.

ოფიციანტების კავშირის გამგეობის წევრი **გ. ჯიქია.**

**მუშათა ცხოვრება.** შრომის სამინისტრომ განიხილა სოხუმის დამტვირთავ არტელის მიერ აღძრული საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მისცეს ჯამაგირის ნახევარი მობილიზაციის წესით გაწვეულ არტელის წევრებს. შრომის სამინისტრო განმარტავს ამის შესახებ, რომ მობილიზაციის წესით გაწვეულ არტელის წევრებს ხელფასის ნახევარი უნდა მისცეს არტელმა ივნისის ანგარიშში. ამასთანავე არტელის მიერ წარმოებულ მუშაობის ქირა ამ მიზეზის გამო არ უნდა გაიზარდოს.

**შრომის ხელფასი აფიცრებს.** შრომის სამინისტრომ თფილისის თვითმართველობის მთავარ კანტროლიორს განუცხადა, რომ კანონი, რომელიც ეხება, მობილიზაციის წესით ჯარში გაწვეულთათვის ნახევარი შრომის ხელფასის მიცემას, აფიცრებზე არ ვრცელდება. სხვა დანარჩენში 1919 წლის 30 იანვრის კანონი ვრცელდება აფიცრებზედაც.

ამასთანავე შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ადგილი ენახებათ იმ გაწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დროებით, ან დღიურათ სამუშაოზე იყვნენ მოწვეულნი, თუ ეს მუშაობა მობილიზაციამდე 2 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა.

**კოოპერაციის მოსამსახურენი:** კოოპირატივებში მოსამსახურეთა მრავალრიცხოვან კრებებზე განხილული იყო საკითხი კოლექტიური ხელშეკრულობის დადების შესახებ, აქამდის ასეთი ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული, ამიტომ კრებამ კოოპერატიულ სექციის ბიუროს მიანდო აუცილებლად შეკრას მოკლე დროში კოლექტიური ხელშეკრულება. ამავე სხდომაზე აღნიშნული იყო კოოპერატივებში მოსამსახურეთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა. მომხსენებელმა, რომელმაც გააკეთა მოხსენება მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, წინადადება მისცა კრებას მოითხოვონ ჯამაგირი 100 პროც. გადიდება, მაგრამ კოოპერატიულ ბიუროს სექციამ განაცაადა, რომ იგი არ მოითხოვს დაჟინებით ჯამაგირის ასეთ გადიდებას, თუ მომარაგების სამინისტრო დააკმაყოფილებს მოსამსახურეების აუცილებელ მოთხოვნილებებს.

**სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი.** სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსამსახურეების კავშირმა ქალაქის თვითმართველობის შრომის განყოფილებას თხოვნით მიმართა, რომ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი სავალდებულო დადგენილ დროს იღებოდეს და იხურებოდეს.

**დახმარება მუშათა კლუბს.** პროფ. კავშირების საბჭო სეკრეტარიატმა დაადგინა მიეცეს 30,000 მან. მუშების ცენტრალურ კლუბს საზაფხულო სეზონის გასახსნელად.

**მელითონეთა კავშირი.** შრომის მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით შესდგა მომრიგებელ კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა მელითონეთა კავშირის განახლების საკითხი. გადაწყდა კავშირის ყველა წევრის რეგისტრაციის შემდეგ კავშირის მოქმედება განაახლონ.

**დახმარება უმუშევართ.** სასურსათო საქმეზე მომუშავე მუშების კავშირმა შეიმუშავა ინსტრუქცია უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ინსტრუქციის თანახმად კავშირის უმუშევრათ დარჩენილი წევრები 10 კვირის განმავლობაში იღებენ დახმარებას დღეში 15 მან. მცირე-წლოვანნი—7 მან. 50 კ. უმუშევართა დამხმარე ფონდი დგება საწევრო გადასახადების ჯამიდან 10 პროც. გადიდებით და საღამოებისა და წარმოდგენების შემოსავლიდან.

## პროვინცია

**ზუგდიდი.** 26 მაისის დღესასწაულმა ტრადიციული ხასიათი მიიღო. ის გახდა უდიდის ეროვნულ დღესასწაულად; ან რა იქნება ერისათვის უფრო ძვირფასი თავისუფლობაზე, დამოუკიდებლობაზე! ამას კი ჩაეყარა საფუძველი 26 მაისს. ამიტომ არის, რომ ქართველი ერი ამ დღეს ზეიმობს სულით და გულით, ამიტომ არის რომ ის დიდი აღტყინებით, აღტაცებით ეგებება ამ დღეს. ქართველმა ხალხმა შეიგნო 26 მაისის მნიშვნელობა აგრეთვე ინტერნაციონალური თვალსაზრისით. ამ დღეს ის უყურებს, რევოლიუციის განმტკიცების დღეთ, რასაც პატარა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თვალთახედვის ისრით.

ქ. ზუგდიდში ამ დღესასწაულის მოწყობის ინიციატივა მაზრის ერობის გამგეობამ მიიღო თავისთავზე. მან შეადგინა კომისია ზუგდიდში არსებულ სხვა და სხვა საზოგადო და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და ადრევე შეუდგა სამზადისს. დღესასწაულს რომ მისცემოდა ნამდვილი ეროვნული ხასიათი, პროგრამა თითქმის მხოლოთ და მხოლოთ ეროვნული ტრადიციული გასართობებიდან შესდგებოდა, როგორიც არის: მარულა ცხენის, ფეხის, ჯირითი, ჭიდაობა, ბურთაობა და სხ.

დილის 10 საათიდან ხალხმა იწყო დენა ერობის ეზოში. მოწაფეები, გვარდია, ადგილობრივი და სოფლიდან ჩამოსულები სამხედრო წყობით, დროშებით და სიმღერებით თავს იყრიდა აქ, როგორც სხივები სინათლის ფოკუსში.

12 საათზე დაიწყო მანიფესტაცია. პროცესია გაემართა ქალაქში, მას წინ მიუძღვებოდა დამოუკიდებლობის ემბლემა—თეთრ ცხენზე მხედარი შუბით და ფარით და თავისუფლების ემბლემა ფეხით—შესაფერისად მორთული ქალიშვილი. ერობის ეზოს კარებთან დამსწრეთ მიესალმა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვლ. ვეგუა, რომელმაც გააცნო მას ამ დღესასწაულის შინაარსი და მნიშვნელობა მოკლე სიტყვაში. პროცესიამ შემოუარა ქალაქის ირგვლივ უმთავრეს ქუჩებით და შემდეგ გაიმართა ზეიმი. ხალხის მხიარულებას საზღვარი აღარ ქონდა. საზოგადოება ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა ხოლმე აქა იქდა ცეკვა თამაშში ატარებდა დროს. ჩვენდა საბედნიეროდ ქალაქს შუა მდებარეობს მინდორი და ამან ხელი შეუწყო ხალხის საზეიმო სულიერ განწყობილების დაკმაყოფილებას. ყველას სახე უბრწყინავდა, ყველა გრძნობდა. ამ დღის არაჩვეულებრივობას. მის სიდიადეს ამ ზეიმის მაყურებელი არა ქართველი ტომიც აუცილებლათ იგრძნობდა, რომ დღესასწაული, რომელსაც იხდიდა ქალაქი, გამოწვეულ უნდა იყოს ფრიად მნიშვნელოვან მიზეზით, რომ ის ასე ღრმათ ჩაწვდენია ხალხის სულსა და გულს და ასეთი აუარება ხალხი დიდი და პატარა მისცემია ასეთ უსაზღვრო მხიარულებას.

ზეიმი გაგრძელდა საღამოს 9 საათამდე, რის შემდეგ ხალხი დიდათ ნასიამოვნები დაიშალა. **კანვინ.**

## გორის ფონდი

საჩხერის მცირე კოლექტივმა შეაგროვა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 1630 მან. შემომწირველთა სია: 1) ტ. ამილახვარმა—100 მ., იოს. ცქვიტიშვილმა 100 მ., პ. ხარშალიძემ 50 მ., კოწია ხულარდავამ 150 მ., სერგო ჯალიბეგომა 50 მ., მ. ჯაშიმ 100 მ., ვ, ჯაშიმ 50 მ., შ. ნასირაძემ 100 მ., ს. გიორგაძემ 150 მ., პ. კუპლაშვილმა 100 მ., ზაქარია შუკაკიძემ 50 მ., ს. ფერაძემ 50 მ., სპ. ჭუმბურიძემ 50 მ., ლ. ბეჟანძემ 100 მ., ვ. შუკაკიძემ 50 მ., ალ პაპიძემ 50 მ:, ერ. ჩუბინიძემ 50 მ., არ. კურტანიძემ 50 მ.

— ახალ-დაბის ქვე-კოლექტივმა შეაგროვა ამავე მიზნით. შემოსწირეს: პ. მაზაევმა 1000 მ., ა. ზაიმჩიკმა 500 მ., ძმ. სირაძეებმა 500 მ., ე. ჭუმბურიძემ 100 მ., მანჯაბიძემ 100 მ., ბ. ქობალიძ 55 მ., შ. ხორბალაძემ 50 მ., ს. ჯოხაძემ 50 მ., ვ. ბუხნიკაშვილმა 40 მ., ლ. გოგოლაძემ 30 მან. ნეძვის მასწავლებელმა ნ. ბარათაშვილმა თავის მოწაფეებს შორის შეაგროვა 100 მან. სულ 2,525 მან.

— სალხინოს ს. დ. კოლექტივმა—2213 მან.

— „ერთობის“ კანტორამ გუშინ გორის დამხმარე კომიტეტს ჩააბარა 30,000 მან. შემოწირულების მიღება გრძელდება.

## წერ. რედაქციის მიმართ

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სიღნაღის სანაპირო რაზმის უფროსს, რომელმაც ჩვენი კავშირის ჩოთქების სახელოსნოს შემოსწირა 7 $\frac{1}{2}$ გირ. ცხენის ძუა და 1 $\frac{1}{2}$ გ. ფაფარი. კავშირის ჩოთქების სახელოსნოს უაღრესად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; მასში მომუშავე ომში დაშავებულნი და დასახიჩრებული ჯარის-კაცები, საზოგადოებისათვის, უკვე სასარგებლო წევრებს წარმოადგენენ,—სახელმწიფოს ღირებულებას უქმნიან. ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქის, ორგანიზაციის, თუ დაწესებულების ვალია დაეხმაროს კავშირს ამ წმინდა საქმეში.

კავშირის გამგეობა იმედოვნებს, რომ სიღნაღის სანაპირო რაზმის უფროსის მაგალითს სხვა ჯარის ნაწილების თუ ორგანიზაციის უფროსებიც წაბაძავენ და მით ხელს შეუწყობენ ჩვენი ნორჩი სახელოსნოს გამაგრება-გაძლიერებას.

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის **გამგეობა.**

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.


## განცხადებანი

14 ივნისს საღამოს ქალაქის თვითმართველობაში დამრჩა

**საათი ძეწკვით**

**ოქროს ბეჭედი, „სვისტოკი“ და ბრელოკები.** მპოვნელს უმორჩილესათ ვთხოვ დამიბრუნოს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს და უგულითადეს მადლობას. ადრესი: „ერთობის“ რედაქციაში ან თვითმართველობაში ეგზეკუტორ ანანიევთან. (1—1)

განცხადება

ყ. ს. უ. გ. დ. დ. გ. ი. მ. მ. მომავალ სამოსწავლო წლიდან მსურს დავიკავო

მასწავლებლობის

**ადგილი**

სოფელში არა უშორეს „გორსა და კახეთსა“. ჩემი ცენზი საშუალო განათლებისა 2765 სპეციალური წოდებისა № 3085, სამხედრო ბეგრის № 4641, მისამართი: პლეხანოვის ქ. 25, შესავალი ალექსის ქ. № 5.

P. S. ვიღებ მხოლოდ წერილობითი მიმართვას. მ. მ. ი. მ. (ნ. 3—1)

**ინგლისის მაღაზია ა. გავისტი**

რუსთაველის პრ. № 20, სახ. თეატრის პირდაპირ მუშა ხელის გაძვირების გამო 15 ივნისიდან სამართებელი დანა ეღირება 25 მან. ზევით. (1905 1—1)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე **პოლოხი**

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

**გ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და სააკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი

**ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი

**ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

ექიმი

**ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი

**კ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანასა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი **მ. გოლშტეინი**

თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **პოლოხი**

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

**ე. მ. მძინარიშვილი**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი

**ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (ჟ. 25—3)


საკუთარი სტამბა, გრიბოედოვის ქუჩა № 4.